პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 16 აპრილი, 1944 წ. № 78 (7022). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ქუკოვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, ქუჩებში გამართული შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, სავსებით დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი—ქალაქი **ტარნოპოლი** — დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი ლვოვის მიმართულებით.

ტარნოპოლის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **კუროჩკინის**, გენერალ-ლეიტენანტ **ლიუდნიკოვის**, გენერალ-მაიორ **პოპოვის**, გენერალ-მაიორ **მიშჩენკოს**, პოლკოვნიკ **იგნაჩევის**, პოლკოვნიკ **კუჩერენკოს**, პოლკოვნიკ **ვოლკოვიჩის**, პოლკოვნიკ **ლაშჩენკოს** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ფროლოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ვოლკინშტეინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ვოლჩკის**, პოლკოვნიკ **ბოგატირევის**, პოლკოვნიკ **ძევულსკის**, პოლკოვნიკ **ლიუბიმოვის**, პოლკოვნიკ **რეუტოვის**, პოლკოვნიკ **ტიტენკოს**, პოლკოვნიკ **ჩეპოლას**, პოლკოვნიკ **ბელოვის**, პოდპოლკოვნიკ **ბაზელენკოს** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **პოლუბოიაროვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **რომანოვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ **კამანინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **გალუნოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ფედულიევის**, პოლკოვნიკ **იუზეევის** მფრინავებმა და პოლკოვნიკ **სერებრიაკოვის** მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი **ტარნოპოლის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ტარნოპოლის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 15 აპრილს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ტარნოპოლი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ **ტარნოპოლის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 15 აპრილი.

წარმატებით შეასრულოთ საპირველმაისო ვალდებულებანი

საბჭოთა ადამიანების გული აღსავსეა პატრიოტული სიამაყითა და უსაზღვრო მადლობის გრძნობით მშობლიური დიდი **სტალინისადმი**, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით ძლევამოსილი წითელი არმია ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

წითელი არმიის გამარჯვებებს ჩვენი ხალხი უპასუხებს თავდადებული და მაღალნაყოფიერი მუშაობით. საბჭოთა პატრიოტების, ომიანობის დროის სტახანოველების გმირულმა შრომამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

წელს ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ ვითარებაში ემზადება 1 მაისის დღესასწაულისათვის. წითელი არმიის მარჯვე, გამანადგურებელი დარტყმებით მტერი უკან გარბის, კატასტროფის პირას დგას. ჩვენი სახელოვანი ჯარები უკვე რუმინეთში იბრძვიან. შავი ზღვის სანაპიროს მშვენება — ოდესა კვლავ ჩვენია, განთავისუფლებულია ქალაქები — ქერჩი, ფეოდოსია, ევპატორია, სიმფეროპოლი, მალე მთელი ყირიმი გაიწმინდება მტრისაგან. ასეთ ვითარებაში გაჩაღდა წელს საპირველმაისო შეჯიბრება.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საქართველოს მრეწველობაში — ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებში და ტრანსპორტზე ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისეთი შრომითი აღმავლობა, როგორც ახლა არის. ახლანდელი სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობაში მიზნად ისახავს ნაკლები **მუშახელით** მიღწეულ იქნას საწარმოო **დავალებათა** მაღალხარისხოვნად და **გადაჭარბებით** შესრულება, შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება, საწარმოებში მუშათა ახალი კადრების მზიდვა, შენარჩუნება და კვალიფიციურ მუშებად უმოკლეს ხანში მათი მომზადება, ფრონტული და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების გამოცდილების ფართოდ დანერგვა, სტახანოველთა რიცხვის შეუჩერებელი ზრდა, პროდუქციის ახალი სახეების გამოშვება, ქმედითი დახმარება საკოლმეურნეო სოფლისადმი ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილთა დროული მიწოდებით.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები. მათი ხელმძღვანელობითა და დახმარებით შეჯიბრებაში უკვე მიღწეულია პირველი შესანიშნავი წარმატებები: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ლითონის მარგანეცის საამქროს სტახანოველმა ამხ. შ. თედორაშვილმა ვადაზე 16 დღით ადრე — 14 აპრილისთვის შეასრულა მცირე ნახშირბადიანი ფერომარგანეცის გამოდნობის თვიური გეგმა. შრომითი აღმავლობით ხასიათდება საპირველმაისო შეჯიბრება ჩვენი ქვანახშირის მრეწველობაში. ტყიბულქვანახშირის ტრესტის დასავლეთ შახტის კოლექტივმა აპრილის პირველ დეკადაში გეგმის გადამეტებით 120 ტონა ქვანახშირი მისცა ქვეყანას. იმავე ტრესტის ლენინის სახელობის შახტის სემეოლოსელები ამხ. დახუნდარიძე, აბულაძე და ფანჩულიძე ცვლაში სისტემატურად 200 პროცენტით ასრულებენ ქვანახშირის ამოღების გეგმებს. ხაშურის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველებმა ამხ. შ. თომაძემ და ი. იმზნელმა 1 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად საკუთარი ძალებით აღადგინეს სახარატო ჩარხი, რომელიც 4 წლის განმავლობაში უმოქმედოდ იყო. იმავე დეპოს სტახანოველმა მჭედელმა ამხ. ბ. კალმახელიძემ 600 პროცენტით შეასრულა აპრილის პირველი დეკადის გეგმა.

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კონსტრუქტორებმა უმოკლეს ვადაში დააპროექტეს რაციონალიზებული ზეთსახდელი აგრეგატი, რომელიც ერთიორად მეტი ნაყოფიერებისაა, ვიდრე დღემდე ცნობილი აგრეგატები. კონსტრუქტორებმა დაკვრითი წესით შეასრულეს ყველა საჭირო ნახაზები და იგი წარმოებას გადასცეს. კალინინელები პირობას იძლევიან, რომ 1 მაისისათვის გამოუშვებენ ახალ აგრეგატს.

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ერთ-ერთი ფრონტული ბრიგადის ხელმძღვანელი ი. მირზოევი საპირველმაისო შეჯიბრებაში ჩაბმის დღიდანვე გეგმებს სისტემატურად ასრულებს 900-1.000 პროცენტით, ხოლო ზოგ დღეს იგი იძლევა სარეკორდო მაჩვენებლებს. მაგალითად, 4 აპრილს მან საწარმოო დავალება 1.750 პროცენტით შეასრულა, 6 აპრილს — 1.350 პროცენტით და 8 აპრილს — 1.360 პროცენტით.

საქმით ახალდებენ საპირველმაისო დავალებებს თბილისის საორთქლმავლო დეპოს (პარტორგანიზაციის მდივანი ი. მგელაძე), სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის (პარტკომის მდივანი ი. ნეფარიძე), მაუდ-კამოლის ფაბრიკის, თბილისის ქიმკომბინატისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა ფრონტული და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები.

სადაც სოციალისტურ შეჯიბრებას თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, იქ საპირველმაისო ვალდებულებები წარმატებით სრულდება. მაგრამ არიან ისეთი საწარმოებიც, სადაც ეს საქმე თვითდინებას მიანდეს. ასეთია, მაგალითად, თბილისის სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკა (დირექტორი ამხ. მალოიანი), № 1 მექანიკური ქარხანა (დირექტორი ამხ. მიხაილოვი) და არტელი „ვრეხილი“ (თავმჯდომარე ამხ. ხვედელიანი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების შედეგთა შეჯამებამდე ორი კვირა დარჩა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გეგმას ასრულებდეს ყველა მუშა, ყველა ფაბრიკა, მაღარო, საამქრო და ბრიგადა. უნდა მივაღწიოთ არსებული მუშახელის, სათბობის, ნედლი მასალის, შინაგანი რესურსების უფრო ფართოდ, უფრო მიზანშეწონილად გამოყენებას, პროდუქციის გამოშვებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

აპრილის პირველი ნახევარი უკვე გავიდა. საწარმოთა პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველი ღონე იხმარონ, რათა უზრუნველჰყონ შეჯიბრებაში გამარჯვების მიღწევა. საპირველმაისო ვალდებულებათა შესრულების შემოწმებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აგრეთვე, თუ რა გაკეთდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, დამხმარე მეურნეობების საუკეთესოდ მოსაწყობად.

საპირველმაისო შეჯიბრების წინასწარი მონაცემები მოწმობენ, რომ საქართველოს მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ახალი საწარმოო მიღწევებისათვის დაუღალავი, გმირული შრომით კვლავ გვიჩვენებენ თავის საბრძოლო ერთიანობას ფრონტთან, ჩვენს სახელოვან წითელ არმიასთან. ისინი წითელ არმიას წელს კიდევ უფრო უხვად მისცემენ ყოველივე იმას, რაც საჭიროა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვების დასაჩქარებლად.

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მხატვრული ფილმების თბილისის კინოსტუდიის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თვალსაჩინო მხატვრული კინოსურათების გამოშვებისათვის დაჯილდოებულ იქნას მხატვრული ფილმების თბილისის კინოსტუდია **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 14 აპრილი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
15 აპრილის ოპერაციული ცნობა

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, ქუჩებში გამართული შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, მთლიანად დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი **ტარნოპოლი** — დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი ლვოვის მიმართულებით. **ტარნოპოლში** გარშემორტყმული გერმანელთა გარნიზონი ოთხი ქვეითი დივიზიისა და მთელი რიგი ცალკე ნაწილების ნაშთებისაგან შემდგარი საერთო რიცხვით 16 ათასი კაცი სავსებით გაუყლეტილია, გარდა 2.400 გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრისა, რომლებიც ტყვედ დაგვნებდნენ. ხელთ ვიგდეთ შემდეგი ტროფეები: 35 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 85 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 125 ნაღმსატყორცნი, 400-მდე ტყვიამფრქვევი, 350 ავტომანქანა, 5 ორთქლმავალი, 285 ვაგონი, 6 სხვადასხვა საწყობი.

15 აპრილის განმავლობაში ქალაქ **ჩერტკოვის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის **ჯურინი, პოლოვცი, კაუშუვკა, ბაზარი, იაცუბოვკა.**

სევასტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები ხლეევდნენ მტრის წინააღმდეგობას და საინჟინრო ღობურების სისტემას **შირიმის** სამხრეთ სანაპიროს მთა-ტყიან ნაწილში, განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ყირიმის რაიონული ცენტრი **ალბატი**, დასახლებული პუნქტები **ბერეზოვოე, აჯი-ბულატი, კაჩა, მამაშაი, ბელბეკი, ლიუბიმოვკა, დუვანკოი, ზალანკოი, შული, დემერჯი, სემიდვორიე, სოტერა, ჭუჩუკ-უზენი, ტაუკი** და რკინიგზის სადგურები **სიშრენი** და **ბელბეკი.**

წინასწარი ცნობებით, 14 აპრილის ბოლოსათვის **უკრაინის** მე-4 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 20 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე დროისათვის, არა სრული ცნობებით, **ზვენიგოროდის** ცალკე არმიის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 17 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამნაირად, 14 აპრილის ბოლოსათვის ჩვენმა ჯარებმა ყირიმში ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 37 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო.

14 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 69 ტანკი.

საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 24 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა სევასტოპოლის ნავსადგურსა და რკინიგზის სადგურზე

14 აპრილს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა სევასტოპოლის ნავსადგურსა და რკინიგზის სადგურზე და დაბომბა მოწინააღმდეგის თავმოყრილი ჯარები და ტექნიკა, სამხედრო საწყობები და სევასტოპოლის ბუხტაში მყოფი გერმანელთა გემები. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა და ბევრი აფეთქება მოხდა. მეთვალყურეთა მიერ აღნიშნულია დიდი ძალის აფეთქებანი საწვავის საწყობთა რაიონში. ყველაზე უფრო დიდი ხანძრები, რომლებსაც თან ახლდა აფეთქებანი, აღნიშნულია რკინიგზის სადგურზე და იუენი ბუხტაში.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი ტარნოპოლი. ტარნოპოლში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის გარნიზონი ლიკვიდირებულია. საბჭოთა ქვეითები მცირე ჯგუფებად მოქმედებდნენ და ჭუჩებს ზედი-ზედ აწყვეტდნენ პიტლერელებისაგან. ყოველი მხრიდან შეგიწროებული გერმანელები ქალაქის დასავლეთ ნაწილში იყვნენ მომწყვდეულნი. ჩვენმა ჯარებმა მოჰქანცეს მოწინააღმდეგი, გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს მას და ტარნოპოლი სავსებით გასწმინდეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

* * *

ქალაქ ჩერტკოვის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევდნენ, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ ბრძოლებში მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა გერმანელთა „სს“ მე-10 სატანკო დივიზიის ნაწილებს, რომლებიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ის-იყო მოვიდნენ საფრანგეთიდან. დღის განმავლობაში გაელეტილია მოწინააღმდეგის 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა არტილერისტებმა და ჯავშანმტმტრეველებმა ხელჯავშანმტმტრეველებმა ჯავშანტრანსპორტიორი. საბჭოთა მებრძოლები გმირულად ებრძვიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. მეავტომატე ამხ. გოლოვს თავს დაესხა 12 გერმანელი. მამაცმა მებრძოლმა სროლა გაიჩაღა და მოწინააღმდეგის 7 ჯარისკაცი დახოცა. ამხანაგი გოლოვი დაედევნა დანარჩენ ჰიტლერელებს და ტყვედ წამოიყვანა გერმანელი ოფიცერი. წითელარმიელები ამხანაგები ელისეევი, გრინიოვი და პალეევი შეუშინებლად შეიჭრნენ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ სოფელში და ჭუჩაში დაინახეს გერმანელთა ტანკი „ვეფხვი“. ამ დროს გერმანელი ტანკისტები სახლიდან გამოვიდნენ და თავიანთი ტანკისაკენ გაეშართნენ. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელები დახოცეს, გერმანელთა ტანკი გრანატებით აფეთქეს.

* * *

სევასტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. ნ შეაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს განუწყვეტელი დარტყმები მიაყენეს, ფარფოლ უბნით მიადგნენ მდინარე ბელბეკს და დაიკავეს დასახლებული პუნქტი ლიუბიმოვკა, რომელიც 6 კილომეტრზე მდებარეობს სევასტოპოლის ჩრდილოეთით. საბჭოთა მოძრაფმა ჯარებმა, რომლებიც სიმფეროპოლ-სევასტოპოლის გზატაცელისა და რკინიგზის გასწვრივ მიწევდნენ წინ, მოწინააღმდეგის რამდენიმე დიდი ჯგუფი გაანადგურეს. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა, მათ შორის 40 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 184 საველე ქვემეხი, 7 ორთქლმავალი, 2.500-მდე ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად, 24 საწყობი სამხედრო ქონებიანად და დიდი საარმიო საწყობი საომარ მასალიანად. გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს მთა-ტყიან ადგილებში. ჩვენს ჯარებს აქტიურ დახმარებას უწევენ ყირიმელი პარტიზანები, რომლებიც უკანდასაზე გზებს უჭრიან მტერს და ელტენ მის ცოცხალ ძალას. ყირიმის სანაპიროზე ქალაქებს სუდაკსა და ალუშტას შუა ჩვენი ნაწილები სპობდნენ გერმანელთა და რუმინელთა ფეოდოსიიდან უკანდახეული და აქ მოწყვეტილი ჯარების ნაშთებს. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოსდის. გერმანელთა და რუმინელთა ბევრი ქვეგანაყოფი, რაკი თავის გამოუვალ მდგომარეობას ხედავს, ტყვედ გვნებდება. ტყვეებისა და დავლის რაოდენობა განუწყვეტლივ მატულობს.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაცია უარტყამდა მოწინააღმდეგის გემებს, რომლებიც ცდილობდნენ ყირიმიდან გაეყვანათ გერმანელ-რუმინელთა დამარხეგბული შენაერთების ნაშთები. ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფმა ზღვაში აღმოაჩინა თვითმავალი სადესანტო კარავანები და იერიში მიიტანა მათზე. ჩაძირულია მოწინააღმდეგის ორი თვითმავალი სადესანტო კარავანი და მოტორიანი ბარჟა. ბევრ სხვა გემს სერიოზული ზიანი მიეყენეთ.

* * *

კალინინის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 27 მარტიდან 1 აპრილამდე ლიანდაგიდან გადაადგო გერმანელთა 9 სამხედრო ეშელონი. გზატეხილებსა და ყამირზებზე პარტიზანებმა აიფეთქეს 48 სატვირთო და 7 მსუბუქი ავტომანქანა, გამოსტრეს კავშირგაბმულობის 11 კილომეტრი სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი. მოკლულია 6 გერმანელი ოფიცერი და 180 ჯარისკაცი.

* * *

ყირიმში ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 95-ე სათადარიგო ბატალიონის მეთაურმა მაიორმა ელმარ კრაუზმა გვიამბო: „საბჭოთა ჯარების ელვისებურმა დარტყამამ დათრგუნა ჩვენი წინააღმდეგობა. დანარჩენი დაამთავრა პანიკამ, რამაც ჯარისკაცები და ოფიცრები შეიპყრო. მთელი ბატალიონები იხსნებოდნენ ადგილიდან და უგზო-უკვლოდ გარბოდნენ. ჩემი ბატალიონიდან ვერც ერთმა ჯარისკაცმა, ვერც ერთმა ოფიცერმა ვერ მოახერხა გადარჩენა. ორი ასეული სავსებით განადგურებულ იქნა ავტომანქანებში ჩასხმისას. დანარჩენები ჩემთან ერთად ტყვედ დანებდნენ“.

გერმანელთა 73-ე ქვეითი დივიზიის 213-ე პოლკის 1 ასეულის ობერ-ფელდფებელმა კიკმა განაცხადა: „სამი კვირის წინათ ყირიმში მთელი შემადგენლობით მოვიდა გერმანელთა 111-ე ქვეითი დივიზია. ერთ-ერთს რადიოგადაცემაში გერმანულ ენაზე რუსები ამის გამო აცხადებდნენ, რომ ყირიმის „ფრიცების დამპერ ხაფანგში“ გერმანელთა კიდევ ერთი დივიზია მოხდომ. ეს სწორად ასე გამოვიდა. რუსების შემოტევა მოულოდნელი როდი იყო. ჩვენ მოშზადებული ვიყავით ამისათვის. მაგრამ ღრმა გარღვევის ამბავმა საყოველთაო აბნეულობა გამოიწვია. ჩვენ შორის არავინ არ მოელოდა, რომ რუსების ჯარების დარტყმა ასეთი გამანადგურებელი იქნებოდა“.

მოწინააღმდეგის ზარალი და უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების დავლა ა. წ. 25 მარტიდან 12 აპრილამდე
მომხდარი ბრძოლების პერიოდში

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა არმიის გენერალ **მალინოვსკის** სარდლობით იუჟნი ბუგიდან დნესტრამდე 25 მარტიდან 12 აპრილამდე ჩატარებული შეტევითი ოპერაციების შედეგად მოწინააღმდეგეს შემდეგი ზარალი მიაყენეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსპობილია: 42 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 199 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 83 ნაღმსატყორცნი, 589 ტყვიამფრქვევი, 436 ავტომანქანა და საწვავარი.

მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა 26.800 ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

ამავე ხნის განმავლობაში **უკრაინის** მე-3 ფრონტის ჯარებმა გერმანელებს **წაართვეს** შემდეგი დავლა: 7 თვითმფრინავი, 401 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 753 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 291 ნაღმსატყორცნი, 991 ტყვიამფრქვევი, 8.820 შაშხანა, 101 რადიოსადგური, 10.672 ავტომანქანა, 481 მოტოციკლი, 208 ტრაქტორი და საწვავარი, 46 ჯავშანტრანსპორტიორი, 392 ავტომისაბმელი, 6.203 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, 2.076 ცხენი, 287 ორთქლმავალი, 6.104 ვაგონი, პლატფორმა და ცისტერნი, მათ შორის 1.377 საომარი მასალით, სურსათით, საწვავით, საქარხნო მოწყობილობით, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სამხედრო ქონებით დატვირთული, 95 საწყობი, მათ შორის 52 საომარ მასალიანად, 38 სურსათიანად, 3 ეკლიან მავთულიანად, 2 ცემენტიანად.

ტყვედ წამოყვანილია 10.680 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამნაირად, გერმანელთა საერთო ზარალი საბრძოლო ტექნიკის მთავარი სახეების ხაზით და ცოცხალი ძალის მხრივ **უკრაინის** მე-3 ფრონტის ჯარების შეტევითი ოპერაციების განმავლობაში 25 მარტიდან 12 აპრილამდე შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით 37.480 კაცს, 443 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 952 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 11.708 ავტომანქანას, ავტომისაბმელსა და საწვავარს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

მუშაობა დაამთავრა ყაზახეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VII სესიამ

ალმა-ატა, 13 აპრილი (საკდესი). 12 აპრილის საღამოს სხდომაზე დამთავრდა ყაზათი სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ენდასინოვის მოხსენების გამო. სესიამ ერთხმად დამტკიცა ყაზახეთის სს რესპუბლიკის თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის კანონები.

სესიამ აირჩია ყაზახეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად დეპუტატი ნურმახამბეტოვი, დამტკიცა VI და VII სესიებს შორის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულებანი, აირჩია ყაზახეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები ამით დამთავრდა VII სესიის მუშაობა.

ნ. თ. ვატუტინი



მძიმე ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა არმიის გენერალი ნიკოლოზ თევდორეს-ძე **ვატუტინი.**

მთელი საბჭოთა ხალხისათვის ამხ. **ვატუტინი** ცნობილია, როგორც სამამულო ომის გმირი, წითელი არმიის გამოჩენილი გენერალი და სარდალი.

19 წლის ასაკიდან ამხ. **ვატუტინი** განუწყვეტლივ მოღვაწეობს წითელი არმიის რიგებში. მან თავისი სამსახური რიგითი მებრძოლიდან დაიწყო და გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ფრონტის სარდლობით დაამთავრა.

ამ ხნის განმავლობაში ამხ. **ვატუტინმა** განვლო მთელი რიგი ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფების მეთაურის, დივიზიის შტაბის უფროსის, კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის, გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსის, გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილის გზა, ხოლო სამამულო ომის წლებში იყო ფრონტის შტაბის უფროსი და მთელი რიგი ფრონტების ჯარების სარდალი.

სამამულო ომის წლებში მისი, როგორც ფრონტის სარდლის საბრძოლო გზა აღნიშნულია უაქტიურესი მონაწილეობით სტალინგრადის ოპერაციაში, ძლევამოსილ შეტევაში დონის მოსახვევიდან დონბასამდე, 1943 წლის ივლისში ძლევამოსილი ოპერაციით ბელგოროდ-კურსკის ბრძოლაში, კიევის, ჟიტომირის, ბერდიჩევისა და როვნოს აღებით.

ამხ. **ვატუტინის** სახელი აღნიშნულია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. **სტალინის** მრავალ ბრძანებაში წითელი არმიის საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობის მიხედვით.

საბჭოთა მთავრობას არაერთგზის მიუცია ამხ. **ვატუტინისათვის** უმაღლესი ჯილდოები: **წითელი დროშის** ორდენი, **ლენინის** ორდენი, **სუვოროვის 1-ლი ხარისხის** ორდენი, **კუტუზოვის 1-ლი ხარისხის** ორდენი.

ამხ. **ვატუტინი** დაწინაურდა სამამულო ომში თავისი საგმირო საქმეებით საბჭოთა სამშობლოს გამარჯვებისათვის ბრძოლაში და საბჭოთა ხალხისა და მთელი წითელი არმიის ღრმა პატივისცემა დაიმსახურა.

ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგულმა ამხ. **ვატუტინმა** მთლიანად და ბოლომდე შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე წითელ არმიას და საბჭოთა სამშობლოს.

მარად იცოცხლებს ის საქმე, რომლისთვისაც ძლევამოსილად იბრძოდა არმიის გენერალი ამხ. **ვატუტინი.**

ეუკოვი, ხრუშჩოვი, ვასილევსკი, ვოროშილოვი, ბუდიონი, ტიმოშენკო, შაპოშნიკოვი, კონევი, ვორონოვი, იაკოვლევი, ნოვიკოვი, გოლოვანოვი, ფედორენკო, როტმისტროვი, პერესიპკინი, ვორობიოვი, შჩრბაკოვი, ანტონოვი, ხრულიოვი, მერეცკოვი, როკოსოვსკი, მალინოვსკი, ტოლბუხინი, გოვოროვი, მ. მ. პოპოვი, ბაგრამიანი, ერიომენკო, სოკოლოვსკი, ტიულენევი, პურკაევი, კოვალიოვი, გოლიკოვი, სმოროდინოვი, არტემიევი, კორნიეცი, კრაინიუკოვი, კალჩენკო, ბოგოლიუბოვი, კარპოსოვი, თ. თ. კუზნეცოვი, ვ. დ. ივანოვი, აბორენკოვი, დეგტიარევი, ილიჩევი.

უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, უკრაინის სს რესპუბლიკის თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, უკრაინის **სს** რესპუბლიკის თავდაცვის სახალხო კომისარიატი და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 14 აპრილს ღამით მძიმე ოპერაციის შემდეგ კიევში გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი და წითელი არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი, არმიის გენერალი ნიკოლოზ თევდორეს-ძე **ვატუტინი,** რომელიც სარდლობდა უკრაინის I-ლ ფრონტს.

ნიჭიერი სარდლის ამხ. **ვატუტინის** ხსოვნა მარად იცოცხლებს უკრაინელ ხალხში, რომლის განთავისუფლების საქმეს მან შესწირა მთელი თავისი ძალა და ცოდნა.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

1944 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სტურუამ ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთა დიდ ჯგუფს.

ორდენები და მედლები მიიღო საქართველოს სსრ კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდმა ჯგუფმა, რომლებიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ლენინის ორდენი გადაეცათ ამხ. **მ. ი.** ბარამიას, გორის რაიონის კოლმეურნეობა „მაგალითის“ თავმჯდომარეს ამხ. ა. ა. ბერაშვილს, ამხანაგებს გ. ი. მიხანაშვილს, ს. მ. ჭელიძეს, კ. გ. ჭიჭინაძეს, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილს და პ. ა. შარიას, რ

საქართველო—უკრაინა

უკრაინის სს რესპუბლიკის დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვოს რაიონის კოლმეურნეებს

ძვირფასო ამხანაგებო! გურჯაანის რაიონის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს ახსოვთ, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს 1939 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სინელნიკოვოსა და გურჯაანის რაიონების დელეგაციები. აქ საფუძველი ჩაეყარა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც გვეხმარებოდა საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში, ხელს უწყობდა ახალ წარმატებებს მეცხოველეობის განვითარებაში.

ჩვენი შეჯიბრება გაბდა ხალ. სტალინური მეგობრობის ნათელი გამოვლინება, მან კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოსა და უკრაინის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა.

როცა სახიზღარი გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ვერაგულად თავს დაესხნენ საბჭოთა ქვეყანას და უკრაინაში შემოიჭრნენ, ჩვენი ურთიერთობა მოძმე უკრაინელებთან დროებით შეწყდა, მაგრამ არ შესუსტებულა მეგობრობა, არ გაწყვეტილა ძმური კავშირი.

ჩვენ მუდამ გვახსოვდა ჩვენი უკრაინელი ძმები, არ შეგვწყვეტია თქვენზე ზრუნვა, ყველაფერ შესაძლებელს ვაკეთებდით, რათა დავხმარებოდით ჩვენს ბმირ წოთელ არმიას მტრის მალე განადგურებაში.

მტრის წინააღმდეგ წითელი არმიის რიგებში მამაცურად იბრძვის გურჯაანის რაიონის მრავალი კოლმეურნე. მთელმა რიგმა ჩვენმა თანამემამულეებმა სახელი გაითქვეს გმირობით, იბრძოდნენ რა მოძმე უკრაინისა და მთელი საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. მრავალმა ქართველმა მეომარმა დაიმსახურა სამშობლოს ჯილდო—საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში თავი ისახელეს ჩვენმა თანამემამულეებმა ვლადიმერ ბერაშვილმა და გიორგი გოცირიძემ. უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის გაფთრებულ ბრძოლებში, მდინარე დნეპრის გადალახვისას მამაცობის, გულადობისა და გმირობის გამოჩენისათვის ვლადიმერ ბერაშვილს და გიორგი გოცირიძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ჩვენ გვსურს მოკლედ მოგითხროთ, ძვირფასო ამხანაგებო, ფრონტის დასახმარებლად ჩვენი მუშაობის შესახებ.

1942 წელს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით დამთავრეს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო. გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, მისცეს ქვეყანასა და ფრონტს უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ვიდრე 1941 წელს. რაიონის მშრომელებმა პირადი მარაგიდან ქალაქების მშრომელებს 87.250 ფუთი სხვადასხვა პროდუქტი გაუგზავნეს. 7 მილიონ ძანეთამდე იქნა შეტანილი სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად.

რაიონის მშრომელებმა 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის 4.317.330 მანეთის ობლიგაციები და ფულისა და ნივთების ლატარიის 1.100.000 მანეთის ბილეთი შეიძინეს.

წითელი არმიის საჭუჭრად გურჯაანის რაიონიდან გაგზავნილ იქნა 24.563 ცალი თბილი და სხვა ნივთები.

1943 წელი იყო შემდგომ წარმატებათა წელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში. ამ წარმატებებისათვის 11 კაცი ჩვენი რაიონიდან საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა შორის დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ომის განმავლობაში ჩვენ 10 პროცენტით გავზარდეთ სათესი ფართობი, მოსავლიანობა 56 პროცენტით გავადიდეთ ომამდელ დონესთან შედარებით.

ცდილობდნენ რა სანიმუშოდ შეესრულებინათ თავიანთი უპირველესი მცნება, რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა შეასრულეს: ხორცისა—103,3 პროცენტით (და 1944 წლის ანგარიშში ავანსად შეიტანეს 1.686 ცენტნერი), რძისა—103.5 პროცენტით, ყველისა—109,8, მატყლისა—104,6, ტყავისა—110, მარცვლეულისა—100,1, კარტოფილისა—122,7, თივისა—100,8, ხახვისა—120,8, ჯიმშოსტოსი—159,7 პროცენტით და ა. შ.

ჩაბარების გეგმის შესრულების შემდეგ ჩვენმა კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 13.500 ფუთი მარცვლეული და 28.000 ცენტნერი ყურძენი.

სეზონურ წარმატებებს მიაღწიეს ომის დღეებში ჩვენმა მეცხოველეებმა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 16,4 პროცენტით გაიზარდა, ცხვრისა და თხის—102 პროცენტით, ღორისა—70,8 პროცენტით.

მიმდინარე წელს ახალ წარმატებებს აღწევენ რაიონის მშრომელები მევენახეობის განვითარების საქმეში, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რაიონის ეკონომიკაში.

ჩვენი რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს 12.275.888 მანეთი მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერით და მთელი ეს თანხა ნაღდ ფულად შეიტანეს. რაიონის მშრომელებმა ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის 3.020.395 მანეთის ბილეთები შეიძინეს და ეს თანხაც ნაღდ ფულად შეიტანეს.

მრავალი ვაგონი ნაირნაირი საჩუქარი გაეგზავნათ წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს.

1944 წელს რაიონის მშრომელები ცდილობენ კიდევ უფრო უკეთესად იმუშაონ, ვიდრე გასულ წლებში, კიდევ უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება.

თქვენი წერილი, რომელმაც ჩვენ ძლიერ გაგვახარა, გამოქვეყნებულია რაიონულ გაზეთში. მას გულთბილად შეხვდნენ რაიონის კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში. ამ წერილმა უაღრესად ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მშრომელებში. ჩვენ ერთსულოვნად მივესალმებით თქვენს წინადადებას გურჯაანისა და სინელნიკოვოს რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრების განახლების შესახებ. ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ დავეხმაროთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებს, კერძოდ, თქვენი რაიონის კოლმეურნეობებს, სწრაფად მოახდინონ გერმანელი ბარბაროსების თარეშის შედეგების ლიკვიდაცია.

განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათათვის დახმარების აღმოსაჩენად გურჯაანელებმა უკვე გამოჰყვეს და გასაგზავნად გაამზადეს 260 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 250 ცხვარი, 100 ღორი და 10 ცხენი. სინელნიკოვოს რაიონის კოლმეურნეობებისათვის გამოყოფილია 218 ცხვარი და თხა, 29 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 38 ღორი, 9 გუთანი, 4.000 კილოგრამამდე საფუარაე მარცვალი და სხვა პროდუქტები.

ჩვენ გამოგიგზავნით უკრაინულ შრიფტს თქვენი რაიონული გაზეთისათვის, სასტამბო დამხმარე მასალას და მთელ რიგ სხვა საჭურველებს.

გთხოვთ გამოგიგზავნოთ თქვენი წარმომადგენლები, რომლებსაც გადავცემთ საჭურველს გურჯაანის რაიონის მშრომელებისაგან.

როცა თქვენი წერილი განიხილეს გურჯაანის რაიონის სოფელ ყანდაურის სასოფლო-სამეურნეო არტელ „გლეხის მარჯვენას“ კოლმეურნეებმა, გადაწყვიტეს განაახლონ შეჯიბრება სინელნიკოვოს რაიონის ტ. შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობასთან, რომელსაც ისინი ომამდე ეჯიბრებოდნენ.

სოფელ გურჯაანის ოტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობა აგრეთვე განახლებს სოციალისტურ შეჯიბრებას სინელნიკოვოს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან.

ამ წერილს გწერთ იმ შესანიშნავ და სასიხარულო დღეებში, როდესაც გმირი წითელი არმია გავიდა ჩვენს სახელმწიფო საზღვარზე ჩეხოსლოვაკიასთან, დევნის უკანდახეულ მტერს რუმინეთის ტერიტორიაზე, ათავისუფლებს საბჭოთა ყირიმს გერმანელ-რუმინელ დამპყრობთაგან.

წითელი არმიის სახელოვანი ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული გურჯაანის რაიონის მშრომელები კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ ფრონტის დასახმარებლად, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან ჰიტლერელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისადმი დახმარებას.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიდ მარშალს ამხანაგ სტალინს!

საქართველოს სს რესპუბლიკის გურჯაანის რაიონის მშრომელთა სახელით:

საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ი. ფეიქრიშვილი

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. გელდიაშვილი

ჩვენი მფრინავების მამაცობა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ სპეკ. კორესპონდენტისაგან)

ბალტიელ ავიაგამანადგურებელთა შორის ცნობილია მფრინავი **მაჩაბელი**. ეკანასკნელ ხანებში ბალტიელმა ავიაგამანადგურებლებმა გააფთრებული ბრძოლები აწარმოეს გერმანიის თვითმფრინავებთან. ამ ბრძოლების შედეგად მოსპობილ იქნა მტრის 13 მანქანა. ამ ბრძოლების დროს მაჩაბელმა მფრინავ **პარფენოვთან** ერთად ორი „ფოკე-ვულფ—190“ ჩამოაგდო. ამ ბრძოლებში თავი ისახელა საბჭოთა კავშირის გმირმა **ბატურინმა**, რომელმაც მოიგერია გერმანიის თვითმფრინავთა ჯგუფის ხუთი იერიში, ჩამოაგდო ერთი გერმანელი, მეორე კი წყალში ჩაადგო ისე, რომ სროლა არ აუტეხია.

საბჭოთა კავშირის გმირი სერგო ვართანის-ძე გრიგორიანი

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

სერგო ვართანის-ძე გრიგორიანი თეთრი წყაროს რაიონის მცხოვრებია, იგი დაიბადა 1923 წელს. 1940 წელს დაამთავრა თეთრი წყაროს საშუალო სკოლა. ამავე წელს შევიდა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1941 წელს, პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, კომკავშირელი გრიგორიანი თავისი სურვილით შევიდა სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელში.

1942 წელს როცა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები კავკასიის მთებს მოადგნენ, ამხ. გრიგორიანმა ითხოვა გაეგზავნით ფრონტზე, მოქმედ არმიაში. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ახალგაზრდა პატრიოტმა მოსაწილეობა მიიღო სადესანტო ოპერაციებში. როგორც საუკეთესო სამხედრო ფერშალმა, მან ბრძოლის ველზე მებრძოლთა და მეთაურთა სიყვარული დაიმსახურა.

ამხ. გრიგორიანი 1942 წელს მიღებულ იქნა ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში. ამის გამო იგი აღფრთოვანებით სწერდა მამას: „შეგიძლიათ მომილოცოთ, რომ ამიერიდან კომუნისტი ვარ!“

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობის გამოჩენისათვის, ბრძოლის ველიდან მრავალი დაჭრილი საბჭოთა მეომრის გამოყვანისა და გადარჩენისათვის ამხ. გრიგორიანმა არა ერთი მადლობა და ჯილდო მიიღო. იგი დაჯილდოებულ იქნა მედლით „მამაცობისათვის“, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

სამედიცინო სამსახურის გვარდიის ლეიტენანტმა სერგო ვართანის-ძე გრიგორიანმა განსაკუთრებით გამოჩინა თავი მდინარე დნეპრის გადალახვისათვის ბრძოლებში. ერთხელ, როცა მას ცეცხლის ხაზზე დაჭრილი მეთაური გამოუყავდა, თვითონაც მძიმედ დაიჭრა, მიუხედავად ამისა გრიგორიანმა რამდენიმე კილომეტრზე გამოიყვანა დაჭრილი მეთაური. ეს იყო მისი უკანასკნელი გმირობა. სიკვდილის წინ მას გულის სიღრმიდან აღმოხდა სიტყვები:

— მე შევასრულე ჩემი მოვალეობა სამშობლოს წინაშე—ვიხსენი საყვარელი მეთაურის სიცოცხლე.

სოციალისტურმა სამშობლომ ღირსეულად დააფასა ახალგაზრდა პატრიოტის თავდადება და მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

აკ. ჩავლეიშვილი

ორგზის ორდენოსანი მფრინავი ივანე შეკლაშვილი

მამაცი საბჭოთა მფრინავების ოჯახს ამშვენებს საქართველოს სახელოვანი შვილი მფრინავი ივანე დიმიტრის-ძე შეკლაშვილი.

ამხ. შეკლაშვილი დაიბადა 1915 წ. ქ. თბილისში. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე, იგი გატაცებული იყო სპორტით. სკოლის დამთავრების შემდეგ ის შევიდა თბილისის ფიზიკულტურის ინსტიტუტში. აქვე იგი შევიდა კომკავშირის რიგებში და შემდეგ პარტიის წევრი გახდა. 1939 წ. ი. შეკლაშვილმა დაამთავრა ინსტიტუტი.

ინსტიტუტში სწავლასთან ერთად ახალგაზრდა ვანომ აითვისა საფრენოსნო საქმეც. მისი ოცნება ასრულდა — იგი მფრინავი გახდა.

სამამულო ომი დაიწყო. ვანო ჩადგა უშიშარ საბჭოთა მფრინავთა რიგებში. მალე მან თავი გამოიჩინა კავკასიისათვის ბრძოლებში, ყირიმისა და სხვა ფრონტებზე. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა ამხ. შეკლაშვილის საბრძოლო დამსახურება. იგი პირველად დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით, ხოლო შემდეგ — სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

აი რას სწერენ ამხ. ვანო შეკლაშვილის მშობლებსა და მეუღლეს ნაწილის სარდლობისა და პარტორგანიზაციის სახელით ამხ. დუმინი და ამხ. უტკინი:

„პატივცემულო დიმიტრი ივანეს-ძევ, ეკატერინე კონსტანტინეს-ასულო და ნინო იასონის-ასულ! ვულოცავთ თქვენს ოჯახს თქვენი შვილისა და ქმრის დაჯილდოებას. თქვენ, დიმიტრი ივანეს-ძევ და ეკატერინე კონსტანტინეს-ასულო, აღზარდეთ უშიშარი მეომარი, სტალინური შევარდენი, საბჭოთა საქართველოს და მთელი საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი ვანო შეკლაშვილი. გულადობითა და მამაცობით, რაც მან გამოიჩინა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, ვანო შეკლაშვილმა ღირსეულად დაიმსახურა მთავრობის მეორე ჯილდო — სამამულო ომის შეორე ხარისხის ორდენი. ნაწილის სარდლობა და პარტორგანიზაციის იმედი აქვს, რომ ორი ორდენის კავალერი ამხ. ვანო შეკლაშვილი კვლავინდებურად მამაცურად და თავგანწირვით შეასრულებს დაკისრებულ ფალდებულებებს საძულველი მტრის განადგურების საქმეში. თქვენ კი ზურგში თავდადებული შრომით უზრუნველყავით წითელი არმიის მილიონობით ისეთივე მეომრების გამარჯვება, როგორიც არის თქვენი ვანო“.

ამხ. ვანო შეკლაშვილი ხშირად სწერს წერილებს თავის მშობლებსა და მეუღლეს, უამბობს მათ თავის საგმირო საქმეებზე.

„მედგრად ვფრტყამ და ვანადგურებ ფაშისტ სვავებს, — სწერს იგი ერთ-ერთ წერილში — მალე მოიღება ბოლო მტერს და გამარჯვებული დავბრუნდები ჩემს საყვარელ სამშობლოში. აბა, მაშინ ნახეთ დღესასწაული ჩვენს ქუჩაზე!“

მგზნებარე პატრიოტულ წერილს სწერს ამხ. ვანო შეკლაშვილს მისი მეუღლე ნინო: „ჩემო საამაყო მეგობარო ვანო! გილოცავ ღირსეულ, საპატიო ჯილდოს და გისურვებ წარმატებებს ჰიტლერელ ბანდიტებთან ბრძოლებში. მეც შენთან ერთად, ზურგში დაუღალავი მუშაობით ვიბრძვი გამარჯვებისათვის. შრომის ფრონტზე თავი გამოიჩინა მამაშენმაც. იგი დაჯილდოებულია ორდენით. აბრძოლე გმირულად! მოახლოებულია კაცობრიობის მტრის საბოლოო განადგურების ჟამი. ჩვენ ყველანი ერთად ვაქნებით და, ბედნიერნი, ვიზეიმებთ ბრწყინვალე გამარჯვებას“.

ალ. ბუკნია

მეზღვაურთა მამაცობა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ სპეკ. კორ.)

„წითელი ფლოტის“ კორესპონდენტი კაპიტანი კრავცოვი აგვიწერს ქერჩის დაკავებაში აზოვის ზღვის ფლოტილის გემების მონაწილეობას დაწვრილებითს ცნობებს. ამ გემებს შორის განსაკუთრებით ისახელეს თავი უფროს ლეიტენანტ მიქაბერიძის სეინერებმა, კაპიტან-ლეიტენანტ ივაშჩენკოს ტენდერებმა, საბჭოთა კავშირის გმირის მესამე რანგის კაპიტან დერეკავინის ჯავშანტანკერებმა.

აზოვის ზღვის საბჭოდრო ფლოტილიამ ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში ქერჩის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის რამდენიმე პუნქტში ერთდროულად გადასხა ზღვისპირეთის ცალკე არმიის ძირითადი ძალები. იმ დროს, როცა წითელფლოტელებს იერიში მიჰქონდათ სიმაგრე ენიკალესა და გერმანელთა წინააღმდეგობის სხვა მნიშვნელოვან კვანძებზე, გემებს დერეკავინის, მიქაბერიძისა და სხვათა მეთაურობით ქერჩის სრუტეზე გადაჰყავდათ ორჯერ მეტი ადამიანები და გადაჰქონდათ ორჯერ მეტი ტვირთი, ვიდრე კათვალისწინებული იყო. მათ გაბედულად გადაჰყავდათ ჯარები, მიუხედავად ქარიშხლისა, ასობით მცურავი ნაღმისა და გაფთრებული საარტილერიო სროლისა.

ეკიპაჟები, რომლებიც გადაყვანა-გადმოზიდვაზე მუშაობდნენ, დაეხმარნენ სადესანტო ჯარებს მტკიცედ გამაგრებულიყვნენ დაკავებულ ტერიტორიაზე.

ჩვენი ბრძოლა

ირაკლი აბაშიძე

საღუტი

მარტო მოსკოვი გუგუნებს განა?
ჩვენი მიწა და ჩვენი ბუნება,
ჩვენი ქედები, ცა და ქვეყანა,
ჩვენი გამზრდელი ლილე და ნანა
არის სალუტის აგუგუნება!

მარტო მოსკოვი გუგუნებს განა?
ჩვენი გული და ჩვენი გონება
ფრონტზე მებრძოლებს, რომ ახლავს თანა,
ჩვენი ოდები, ბალჩა და ყანა
არის სალუტის აგუგუნება!

მარტო მოსკოვი გუგუნებს განა?
ჩვენი ზღვის ტალღის შემობრუნება,
ჩვენი არაგვის წადუდუნება,
ძველი ვარძია, მცხეთა და ბანა
არის სალუტის აგუგუნება!

იდიდოს—ვინაც მტერს არ ეშვება
და ჩვენს მიწაზე არ აბანაკებს,
ვინც ფაფარაყრილ დედა- სამშობლოს
ბრძოლით უბრუნებს დაბა-ქალაქებს.

ვინც მოძმეს ჭირში სულზე მიუსწრებს:—
„მორჩა, გათავდა შენი წამება“,
და მერე ცაში დღის მიწურულზე
ისმის ბელადის დინჯი ბრძანება.

იდიდოს—ვისი სიბრძნის ამაგიც
არის ზეიმი ახალ-ახალი,
ვისაც უმღერის დედა-ქალაქი
ასიათასი ბათქის ჯახანით.

მარტო მოსკოვი გუგუნებს განა
ჩვენი მიწა და ჩვენი ბუნება,
ჩვენი მოხუცი ლილე და ნანა,
ჩვენი ქედები, ცა-და-ქვეყანა
არის სალუტის აგუგუნება!

ვინ არის ყველაზე მამაცი?*

ფოსტალიონი შეფიქრიანებული იყო. კონვერტზე ეწერა: „ყველაზე უფრო მამაც მებრძოლს“. ვის მისცეს ეს წერილი? ვინ არის ყველაზე უფრო მამაცი? ან ალბათ ფოსტალიონს უძნელდებოდა პასუხის გაცემა.

განა მამაცი არ არის ყაზახი ტაკაევი — უკანასკნელ ბრძოლაში რომ გრანატებით გერმანელთა ორი ტანკი დაზიანა. განა გამბედავი არ არის უკრაინელი ტროშენკო—პილოტი რომ შეიჭრა მტრის ძელმწერ საცეცხლე წერტილში და თავისი ავტომატის ცეცხლით რვა ჰიტლერელი მიაწვინა.

განა მამაცი არ არის რუსი ჩერნოუსოვი — წითელი დროშა რომ აღმართა მაღლობზე, გადალახა რა მებრძოლთა ჯგუფით მტრის სანგრების სამი ხაზი და ჩაახშო რა ოთხი სატყვიამფრქვევი წერტილის ცეცხლი? ძნელია საკითხის გადაწყვეტა — ვინ არის ყველაზე უფრო გამბედავი, ყველაზე უფრო მამაცი მებრძოლი ნაწილში.

და ფოსტალიონმა წერილი ნაწილის მეთაურს პოდპოლკოვნიკ გრებნიოვს გადასცა. მეთაური უკეთ გაერკვევა ამ საქმეში. პოდპოლკოვნიკმა გრებნიოვმა, ღიმილით წაიკითხა მისამართი. კონვერტზე:

— „ეს წერილი ერალელი ქალიშვილისაგანაა, — სთქვა მან. — ალბათ ნატაშა ხოლოდოვას გამოგზავნილია. შენ ეს წერილი გადაეცი იმ შავ არწივს ბაგრატ ვაშაგაშვილს, მეხუთე ასეულის მზვერავს“.

ბაგრატი ასეულში არ აღმოჩნდა. ჯერ კიდევ გუშინ საღამოს იგი დაზვერვაში წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულიყო. მაგრამ ეს ამბავი არავის აღელვებდა. ერთხელ იგი სამ დღეს არ დაბრუნებულა. როგორც ყოველთვის, შეუმჩნეველად გადახტა გერმანელთა თავდაცვის ხაზზე, ჩასაფრდა გერმანელთა სანგრების მახლობლად ერთ ცარიელ მიწურში. ამ მიწურში მან სამ დღეს დაჰყო, მან მოახერხა ზუსტად გამოერკვია — როგორ არის განლაგებული გერმანელთა ცეცხლითი დაცვა, როგორია მთავარი მისასვლელი გზები, რას ეზიდებიან გერმანელები მოწინავე ხაზზე.

მესამე დღის ბოლოს ვაშაგაშვილმა დაინახა, როგორ გამოჩნდა ბუჩქებიდან გერმანელი. იგი მოდიოდა და მხრებით მოჰქონდა მავთულების ხვეული. მიწურიდან გერმანელი უკვე შორს არ იყო, როცა მის წინ ავტომატმომარჯვებული ბაგრატ ვაშაგაშვილი აიმართა.

— ჰალტ! — შესძახა ვაშაგაშვილმა. — ჰენდე ჰოხ!

გერმანელმა ხელები მაღლა ასწია. ვაშაგაშვილმა გერმანელი მიწურში ჩასვა, ჩამოართვა შაშხანა და ამოალაგებინა ჯიბიდან ყველა დოკუმენტი. რომ დაბინდდა, ბაგრატი ბუჩქებისაკენ წავიდა. მის წინ ხელებშეკრული გერმანელი მიდიოდა. გერმანელთა სანგრების მახლობლად ვაშაგაშვილმა ხელი ძირას მაჯდომი მეორე გერმანელი შენიშნა, რომელიც ჩექმებს იცვამდა. ვაშაგაშვილმა ტყვე გერმანელს მიწაში ჩაარგვევინა თავი და ეზარა გადაფარა, თვითონ კი მეორე გერმანელს დაუწყო მიპარვა. ამჯერად არც ისე იოლი გამოდგა გერმანელზე ნადირობა. ეი ეძგერა ბაგრატს და ხელიდან ავტომატი გაგდებინა. დაიწყო გააფთრებული ბრძოლა. გერმანელი მაგრად ჩაებღაუჭა მებრძოლს და მას თავის დაღწევის შესაძლებლობას არ აძლევდა.

ვაშაგაშვილმა ხელი ჩასჭიდა გერმანელის ქერთუკს და არ უშვებდა მას. ისინი მძიმედ სუნთქავდნენ. თვალის დახამხამებაზე ვაშაგაშვილმა ვრთბაშად მოიხადა თავისკენ გერმანელი, ძლიერ დაარტყა სახეში თავი, გადაყირავა მიწაზე სარმით — კავკასიური ჭიდაობის ყველა წესის მიხედვით.

მის ზურგზე, როგორც ცხენზე, შემჯდარიყო ვაშაგაშვილი და ხელებს უკრავდა ღვედით. ახლა მის წინ უკვე ორი გერმანელი მიდიოდა.

როცა ბაგრატი თავის შენაერთში დაბრუნდა, ყველა მებრძოლს გაუკვირდა. მეტად ღონიერი იყო გერმანელი ფინ ყოდი.

საღამოთი მიწურში ყველა მებრძოლი კითხულობდა იარაღის ქარხნის სტახანოველ ნატაშა ხოლოდოვას წერილს:

— ურტყით მტერს, ბმირულად დაიცავით ჩვენი სამშობლო, ჩვენი სახლი, ჩვენი სიცოცხლე! ჩვენი საამქროს ყველა ქალიშვილები სალამს გიძღვნიან და სტუმრად გიწვევენ ომის შემდეგ. ყველანი მოვრთავთ კლუბს. ხშირად მოიწერეთ, პასუხს დაუგვიანებლად გამოგიგზავნით.

ამ საღამოს ბაგრატს პასუხი არ დაუწერია. მას დაუძახეს პარტორგანიზაციის ბიუროს სხდომაზე. იხილავდნენ პარტიაში მიღების საკითხს.

— თქვენი თავდებნი? — ჰკითხეს მას.

ვაშაგაშვილმა დასახელა რამდენიმე მებრძოლი, თან აჩვენა ავტომატი და სთქვა:

— ეს კი ჩემი ყველაზე მთავარი თავდებია, ამხანაგი ავტომატი.

შემდეგ მებრძოლებმა პირველად დაინახეს, როგორ სწერდა ბაგრატ ვაშაგაშვილი წერილს. ყველამ იცოდა, რომ ეს წერილი ნატაშა ხოლოდოვასადმი იყო, მაგრამ ვერავინ გაიგო, რა მისწერა მას პასუხად კავკასიონის არწივმა.

კაპიტანი სტორი

მოქმედი არმია.

*) დაწერილია საკავშირო რადიოკომიტეტის სამხედრო კორესპონდენტ კაპიტან სტორის ძიერ სპეციალურად გაზეთ „კომუნისტისათვის“.

აჯიმ-უშკაის ჭრაგელია

ტამანში ერთმა დიასახლისმა, როდესაც მასთან დროებით შევჩერდით, გვითხრა:

— შვილებო, ჩვენო განმათავისუფლებლებო, უღრმესი მადლობა დიდ **სტალინს**, და თქვენ, რომ გვიხსენით ტანჯვა-წამებისაგან...—მერე მოხუცი ანდილოსანს თვალებიდან ცრემლები წასკდა და ნამტირალევი ხმით განაგრძო: მართალია, რაღაც ჩემი სიცოცხლე, მაგრამ მაინც მწყურია გერმანელი ჯალათების საბოლოო განადგურებას შვეცსწრო... მათ დახვრიტეს ჩემი მოხუცი ქმარი თევდორე, მათ აწამეს და მერე მოაკლეს ჩემი გასათხოვარი ქალიშვილი გალია, მათ ჩემს თვალწინ ორომში ცოცხლად ჩამარხეს ჩემი შვილიშვილები—6 წლის კლავა და 11 წლის ვიტია... აგვიკლეს ბარბაროსებმა, გაგვანადგურეს მხეცებმა.

ეს ამბავი ტამანში ჩვენი მისვლის პირველ დღესვე გავიგეთ. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჩვენს თვალწინ გადაიშალა გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა მიერ ჩადენილი მხეცური დანაშაულობათა უფრო შემაძრწუნებელი სურათი: სამხედრო ტყვეთა ბანაკში, რომელშიც 770 ტყვე წითელარმიელი (მეტწილად დაჭრილი და ავადმყოფი) იმყოფებოდა, ჰიტლერელებმა დახვრიტეს 700 ქალაქის გარეუბნაში გათხრილ სასაფლაოში აღმოჩენილ იქნა ადგილობრივ მშვიდობიან მცხოვრებთა 89 გვამი, მათ შორის 23 მამაკაცისა, 35 ქალისა, 23 მოზარდისა (1-15 წლამდე) და 8 ძუძუმწოვარი ბავშვისა (2-დან 4 თვემდე).

ძნელია იმ სურათის აღწერა, რასაც ადგილი ჰქონდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ხელით დახოცილი მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანების დასაფლავების დღეს ტამანში. ყველას სახეზე—მეომრის, მუშის, მეზღვაურის, კოლმეურნის, ინტელიგენტის, კაცისა და ქალის, დიდისა თუ პატარის—სახეზე მხოლოდ ერთს ამოიკითხავდით:

შურისძიება!.. სამაგიეროს გადახდა!...

და როდესაც ტამანის ძმათა სასაფლაოზე დაიხარა წითელი დროშება და გაისმა ზალი საბჭოთა ქვეშმტბეზისა, ეს იყო მრისხანე გაფრთხილება ჰიტლერელი ბანდიტების მიმართ.

— ჩვენ შურს ვიძიებთ!—ერთხმად შეჰფიცეს მტრის ხელით დაღუპულთ საბჭოთა მეომრებმა და თავიანთ საბრძოლო პოსტებზე დაბრუნდნენ.

ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარების მიერ პლაცდარმის დაკავების შემდეგ გამოაშკარავდა ორი ერთო მეტი საზიზღრობა, რაც გერმანელ ფაშისტ არამზადებს ჩაუდენიათ. ზღვის სანაპიროზე სოფელ ოპასნაია მდებარეობს. ოდესმე აქ ცხოვრება საამური და ბედნიერი იყო. ოპასნაიას მცხოვრებნი მშვიდობიან შრომას ეწეოდნენ—მეთევზეობდნენ, მევენახეობას მისდევდნენ, საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობდნენ და შეძლებულად ცხოვრობდნენ. მაგრამ სადღა აქ სოფელი? არცერთი მთელი სახლი, ყველაფერი ნანგრევების გროვად არის ქცეული. ყუმბარებითა და ნაღმებით არის გადათხრილი ოპასნაია არე-მარე. დანგრეულ შენობათა გარეშეული ეკლები მოწმობენ, რომ ჰიტლერულ ვანდალებს გადაუწვავთ სოფლის საუკეთესო ნაგებობანი, ხალხი ცეცხლში ჩაუყრიათ და დაუხრეტავთ. სოფლად ვერცერთ სამოქალაქო ადამიანს ვერ დაინახავთ.

ოპასნაიადან გზას დასახლებულ პუნქტ ბაქსისაკენ მიეყოლვართ. თავის დროზე ეს სოფელი კეთილმოწყობილი და კულტურული იყო. ახლა კი მხოლოდ ნანგრევები დარჩენილა.

გზის მარეგულირებელი მებრძოლი აწესრიგებს ფრონტის ხაზისაკენ მიმავალი ტრანსპორტის მოძრაობას. ხის ბოძზე მიკრული მაჩვენებელი ისარი მიგვითითებს გზას აჯიმ-უშკაისაკენ. და ჩვენც გავყევით ამ გზას.

აი ჩვენ ვდგევართ აჯიმ-უშკაის ნასოფლარზე. გადმოგვცეს, რომ ომამდე აქ ათასამდე მცხოვრები იყო ახლა სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ არის. ყველაფერი მიწასთან არის გასწორებული.

სად წავიდნენ ამ სოფლის მცხოვრებნი?

ჩვენ გვითხრეს, რომ დიდი ნაწილი გერმანელებმა გაყლიტეს, ნაწილი გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე გარეკეს, ხოლო მცირე ნაწილი, ვინც შესძლო თავის დაღწევა, იმ მიწის ქვეშ ცხოვრობს, რომელზედაც ახლა თქვენ ფეხი გიდგიათ.

გავყევით გზის მაჩვენებელ მებრძოლს.

ქვეისსამტეხლოები—ასე ეძახიან უშველებელ გვირაბებს, რომლის ზედაპირზეც გაშენებული ყოფილა აჯიმ-უშკაი. გვირაბებში შედიხართ ვიწრო ჩასასვლელით. ამ გვირაბებიდან იღებდნენ ომამდე ძვირფას სამშენებლო ქვას, რომელიც ისე რბილია, რომ დანითაც ითლება, მსუბუქია და ამავე დროს ვამძლე. ამ ქვის რამდენიმე სართულიანი, სუფთად ნაგები, მოჩუქურთმებული შენობებით იყო დამშვენებული ყირიმის სოფლები და ქალაქები.

როდესაც ჰიტლერელთა ურდოებმა იწყეს საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების ულმობლად ნგრევა, მოსახლეობამ მიაშურა ამ კატაკომბებს აღ იყო სინათლე, არ იყო წყალი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ადამიანები სძლევდნენ სიძნელ

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტში. წინა პლანზე ალექსანდრა შაპტოშვილი და ეუეუნა პაპიჯანოვა.

ფოტო რ. აკოფოვისა

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 11 აპრილს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. ქალაქ სოხუმის ციტრუსოვან და დეკორატიულ მცენარეთა მოვლის ღონისძიებათა შესახებ; 2 სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატისა და ქალაქ სოხუმის ელექტროსადგურის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ს. გახოკიძე. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხანაგებმა: ლ. ტერტუთმ, გ. ნოდიამ, ა. სისოევმა, ს. ბეანიამ და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადწყვეტილებათა განსახორციელებლად ქალაქ სოხუმში სერიოზული მუშაობა ჩატარდა ციტრუსების მოვლისა და შეწამლვის საქმეში. მიმდინარეობს მუშაობა განადგურებული ნარგავების აღსადგენად. მიმდინარე წელს გაშენდება 9.000 ძირი ციტრუსი და 30.000 ძირი ევკალიპტი. ამისათვის სათანადოდ მოემზადნენ სოხუმის ბოტანიკური ბაღი, სრულიად-საკავშირო სელექციური სადგური და სხვა ორგანიზაციები. პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნენ სოხუმის მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებმაც დღემდე ვერ შესძლეს მიეღწიათ გარდატეხისათვის ციტრუსების მოვლის საქმეში. მაგალითად, შავი ზღვის ფლოტის დასასვენებელი სახლის ციტრუსოვანთა პლანტაციაში აქამდე არ შეუტანიათ სასუქი, ხოლო ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის ნაკვეთი შემოღობაცია და პლანტაციაში პირუტყვი დადის.

პლენუმის გადაწყვეტილებით უახლოეს დღეებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ციტრუსების შეწამლვა, მსგავსადვე უნდა გაშალოს ევკალიპტებისა და ციტრუსების დარგვა. ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის ნერგების დარგვა უნდა დამთავრდეს 20 აპრილამდე, ევკალიპტებისა კი 1 მაისამდე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოსმენილ იქნა ბაქრაძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის პირველადი პარტორგანიზაციის მდგომარეობა. ამხ. ვ. ფიფიას და ქალაქ სოხუმის ელექტროსადგურის პირველადი პარტორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ბარამიძე. მოხსენებაში ალინიშნა, რომ ამ ქარხნებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. კერძოდ ელსადგურის პარტორგანიზაციაში პარტიული კრებები მოუმზადებლად ტარდება, დადგენილებები არ არის კონკრეტული. მიუხედავად იმისა, რომ ელექტროსადგურში 100-მდე კაცი მუშაობს, ხოლო მათ შორის ბევრია პარტიის რიგებში მიღების ღირსი, აქ უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში სრულებით არ უწარმოებიათ პარტიაში მიღება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა ვ. მელაძემ, თ. შენგელაიამ, ს. ჯიჯელავამ, ი. ბერიძემ და სხვ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. ა. მგელაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ, მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა, ციტრუსების და დეკორატიული ნარგავების მოვლის საქმეში დღემდე კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს. მთელი რიგი სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან ციტრუსოვან ნარგავთა დაცვისათვის.

ამხ. მგელაძე განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე.

— ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობა, — განაცხადა მან, — მიმართულია ამხანაგ სტალინის მითითებათა განუხრელად შესრულებისაკენ. დიდი ბელადის მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლით სოხუმის მრეწველობამ შარშანდელი გეგმები და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მიმდინარე წელს სოხუმის საწარმოები ფრონტსა და სამშობლოს მისცემენ გაცილებით მეტს სამრეწველო პროდუქციას.

ამხ. მგელაძემ გააკრიტიკა იმ საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს გეგმების შესრულება. მან აგრეთვე ყურადღება გააბახვილა ახალი კადრებისადმი, დახმარების, მათი აღზრდის, პარტიული კრებების უკეთ მომზადების, საამქროს პარტორგანიზაციებისა და პარტიჯგუფების მუშაობის გაძლიერების საკითხებზე.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო სათანადო დადგენილებანი

ზ. მერკვილაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმი

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: რაიონში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობაზე რაიონში.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. ბუჯიაშვილის მოხსენება. ამ საკითხის გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო 11 ამხანაგმა.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები სანიმუშოდ მოემზადნენ საგაზაფხულო თესვისათვის და ორგანიზებულად შეუდგნენ თესვას. თესვა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ახალუბნის (თავმჯდომარე ამხ. ს. გეურჭოვი), ხელოთბნის (თავმჯდომარე ვ. ჯანეზაშვილი), ზერტლის (თავმჯდომარე ვ. ორჯონიკიძე) და შინდისის (თავმჯდომარე შ. მაზმიშვილი) კოლმეურნეობებში. შინდისის კოლმეურნეობამ უკვე მოხნა 250 ჰექტარი მიწა, დასთესა უგრეხილი 60 ჰექტარზე, კარგად მოვლილი აქვს შემოდგომის ნათესი, მაღალი ხარისხით ჩაატარა ხეხილის ბაღის დაბარვა და გასხვლა 343 ჰექტარზე, ხოლო წამლობა—100 ჰექტარზე. მომზადებულია ნიადაგი შაქრის ჭარხლისათვის. კოლმეურნეობა წელს ჭარხლის 15 ჰექტარზე თესავს. კოლმეურნეები ენერგიულად იბრძვიან, რათა ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 300 ცენტნერი ჭარხალი. ნაყოფიერად მუშაობენ გორის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადები ხვნა-თესვაზე.

პლენუმზე მიღწევებთან ერთად აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რაც აქვთ რაიონის კოლმეურნეობებს საგაზაფხულო ხვნა-თესვის საქმეში. მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ქახვრელის (თავმჯდომარე ა. ფუტაშვილი), ქიწნისის (თავმჯდომარე მურადაშვილი), პატარა გარეჯვრის (თავმჯდომარე ლოლოჯაშვილი), ზემო სკრის (თავმჯდომარე ბასიშვილი) და ზეღდულეთის (თავმჯდომარე გიგაური) კოლმეურნეობების მუშაობა. აქ ძალზე ჩამორჩა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. სოფელ ქახვრელის კოლმეურნეობაში საგაზაფხულოდ ნაცვლად 225 ჰექტარისა მოხნულია მხოლოდ 60 ჰექტარი, შეუსრულებელია მიმდინარად ნაკელის გატანის გეგმა, ნელი ტემპით მიმდინარეობს ხეხილის ბაღის მოვლა-დამუშავება. 20 ჰექტარი ხეხილის ბაღიდან დაბარულია მხოლოდ 8 ჰექტარი, ხოლო ბაღის შეწამლვა-შეთეთრება და რემონტი სრულიად არ ჩაუტარებიათ. მუშაობენად მუშაობს ახალსოფლის მტს-ის სატრაქტორო პარკი.

მეორე საკითხზე — მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ რაიონში მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მიხანაშვილმა. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდა 11 კაცი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონის მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად დააყენეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მშრომელთა შორის საგიტაციო მუშაობას ეწევა 800 აგიტატორი. მათი უმრავლესობა სანიმუშოდ ასრულებს აგიტატორის საპატიო მოვალეობას.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კარგად მოაწყეს გორის საკონსერვო ქარხნის, ტანისხიდის, ხელოთბნის, ბერშუეთის და ახალუბნის საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. მაგრამ ეს საქმე ყველგან მოწოდების სიმაღლეზე როდი დგას. საქართველოს საკონსერვო ტრესტის გორის დამზადების კანტორის და სარეწაო არტელების პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენებას. აღნიშნულ დაწესებულებებში აგიტატორები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ასევე ითქმის შინდისისა და ახალსოფლის მტს-ების, სათემოს და ნადარბაზევის პირველადს პარტორგანიზაციებზე.

რაიკომის პლენუმმა ორივე საკითხის გარშემო დასახა სათანადო ღონისძიებანი.

შ. ჩუბინიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

სასახელო შრომის დღიური

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ქარხნის მოწინავე ადამიანები

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ფართოდ არის გაჩაღებული საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. ერთმანეთს ეჯიბრებიან საამქროები, ბრიგადები, სტახანოველები.

ორთქლმავლების მუწყობი საამქრო (უფროსი ამხ. ე. კოჭლავაშვილი) ერთ-ერთი წამყვანი საამქროა ქარხანაში. ეს საამქრო მიმდინარე წლის დასაწყისადანვე საწარმოო დავალებას წარმატებით ასრულებს. საამქროს კოლექტივს იანვარში კარგი მუშაობისათვის საქარხნო გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა, ხოლო თებერვალში — გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. საამქროს ბევრი მოწინავე ბრიგადა და ადამიანი ჰყავს. ისინი საომარი დროის ტემპებით მუშაობენ და საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ამხ. შ. შენგელიას ზეინკალთა ბრიგადა დღიურ საწარმოო ნორმებს სისტემატურად 200-300 პროცენტით ასრულებს. 1 აპრილს ბრიგადამ რეკორდი დამყარა და დღიური დავალება 1.300 პროცენტით შეასრულა. აპრილის პირველ დეკადაში იგი ყოველდღიურ დავალებებს 400-500 პროცენტით ასრულებდა.

მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს გვაძლევს ამავე საამქროს ფრონტული ბრიგადა ამხ. გვილავას ხელმძღვანელობით. ბრიგადა დღიურ ნორმებს 275-390 პროცენტით ანაღდებს. ასევე წარმატებით მუშაობს ზ. ზუბიევის მექვაბეთა ბრიგადა.

სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას ელმავლების საამქრო (უფროსი ამხ. ვ. გოცირიძე). საამქროს სტახანოველებიდან გამოირჩევა ამხ. ვ. ბეჟუაშვილი, რომელიც ფრონტულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში 5 მუშის სამუშაოს 2 მუშა სისტემატურად 200-300 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს.

საპირველმაისო ვალდებულებებს 250-300 პროცენტით ანაღდებს ორდენოსან მ. გეწაძის მექვაბეთა ბრიგადა, სადაც 3 მუშა ასრულებს 5 მუშის სამუშაოს. სოციალისტური შეჯიბრებით ახალ წარმატებებს მიაღწიეს ხარატმა გ. ქსოვრელმა, ორდენოსანმა მ. პაპუნაშვილმა, მექვაბე ი. დიდიძემ, ზეინკლებმა — ი. მამუჩაშვილმა და ს. ჭიოშვილმა, რომლებიც დღეში ორ-სამ ნორმას ასრულებენ.

ბრძოლა გაჩდამავალი დროშისათვის

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა თებერვალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიიღო საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. ქარხნის კოლექტივმა ეს დროშა შეინარჩუნა მარტშიც და საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრობაში ჩაბმისას იკისრა შეინარჩუნოს იგი აპრილშიც.

ამჟამად როგორ მუშაობს ქარხანა?

პირველი დეკადის შედეგები მოწმობენ, რომ ქარხნის კოლექტივი პირნათლად ასრულებს საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. სამოცდაათ საამქროში დღეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 20.000 ცალი სხვადასხვა დეტალი. იმავე დეკადაში ქარხნის საზეინკლო საამქრომ 150 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალება.

აპრილში მაღალნაყოფიერი მუშაობის ნიმუშებს გვაძლევენ ზეინკლები — კ. აბობაძე და გ. კუხაროვა, მტვიფრავები — პ. თვალური, ნ. კოხრიძე, ვ. ჯიშკარიანი და მ. გუდიევი, ფრონტელთა ცოლები — მ. ნიკოლაძე, ნ. ზგელაძე და ნ. ჩიტაძე.

აპრილში უკეთესად, ვიდრე მარტში

საპირველმაისო შეჯიბრებაში თბილისის კუიბიშევის სახელობის ხის დამამუშავებელი მექანიკური ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ქარხნის კოლექტივმა აპრილის პირველი დეკადის საწარმოო დავალებები გადაჭარბებით შეასრულა და მარტის პირველ ათდღიურთან შედარებით 9 პროცენტით მეტი რაოდენობის პროდუქცია დაამზადა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი სტახანოველმა დურგლებმა ვ. ჭიკინაძემ და ა. ედიშერაშვილმა, რომლებმაც საწარმოო დავალებები 800 პროცენტით შეასრულეს. წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე სტახანოველებმა კ. ნუგზარიშვილმა და ე. ქვრივიშვილმა, რომლებმაც დეკადური დავალება გაანაღდეს პირველმა — 450 პროცენტით, მეორემ 500 პროცენტით.

აპრილის პირველ დეკადაში მაღალნაყოფიერი შრომით თავი გამოიჩინეს აგრეთვე ახალმოსულმა მუშებმა, რომლებიც უმოკლეს ვადაში დაეუფლნენ საწარმოო პროფესიას— გ. მელქაძე, ა. მარიკაშვილმა და ფრონტელის ცოლმა ნ. ბუხაევამ.

ლითონი გეგმის გადამეჭვებით

ზესტაფონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი ახალი წარმატებით უპასუხებს. აპრილში განსაკუთრებით გაიზარდა ლითონის გამოდნობა. მარგანეცის საამქრომ (უფროსი ამხ. შ. თედოზაშვილი) 14 აპრილს შეასრულა მცირე ნახშირბადიანი ფერომარგანეცის გამოდნობის თვიური გეგმა.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის, რათა აპრილში გეგმის გადამეტებით მოგვცეს 30.000 მანეთის ლითონი.

შრომას გამარჯვებაც თან ახლავს

აპრილის პირველი დღეებიდანვე თბილისს სპილენძსატკეცი ქარხნის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის საპირველმაისოდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და საგრძნობ წარმატებებსაც აღწევს.

ქარხნის კოლექტივმა აპრილის პირველი დეკადის გეგმა 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა. პირველ დეკადაში კარგად მუშაობდა სპილენძის საგლინავი საამქრო (უფროსი ამხ. პატარაია), რომელმაც, მიუხედავად ზოგი გაუთვალისწინებელი დაბრკოლებისა, დეკადური გეგმა მაინც გადაჭარბებით გაანაღდა. წარმატებები აქვთ აგრეთვე გალვანური და საპარატო საამქროების კოლექტივებს.

საჩუქრები ნიკოპოლელ ძმებს

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურელი მადაროელები აგრეთვე ნოწყვნილობას, იარაღებს, მანქანებს, მასალებს ნიკოპოლელი მადაროელებისათვის გასაგზავნად. ორ-სამ დღეში შეგროვდა 500 კილოგრამი ლურსმანი, ხუთი სახარატო და სარანდავი დაზგა, დიდი რაოდენობით წერაქვები, რკინის ნიჩბები, ელექტრომოწყობილობა, საწოლები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა.

იარაღებისა და მოწყობილობის შეგროვებაში თანასწობას იჩენენ სტახანოველები—ზეინკალი პ. ჩაფიჩაძე, შემდუღებელი ალ. კახნიაშვილი, სახარატო საამქროს ოსტატი ივ. კაპანაძე და საამქროს უფროსი ოსტატი პ. მალრაძე.

რკინიგზის ჭიათურის კვანძზე შეგროვებული დიდძალი ჩაქუჩი, წერაქვი, ნიჩბები. ლიანდაგის მუშა ამხ. ნ. მუმლაძე ნიკოპოლელი მადაროელებისათვის აკეთებს 10 ნიჩაბს.

მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს ნიკოპოლელებისათვის საჩუქრების შეგროვებაში. საქართველოს ალკა ჭიათურის ქალაქკომმა ნიკოპოლელ მადაროელთა ბავშვების დასახმარებლად 30.000 მანეთი გადასცა. ჭიათურელმა რემედასელებმა ნიკოპოლში გასაგზავნად 2.000 ცალი პოლიტიკური და მხატვრული წიგნი შეაგროვეს. გასაგზავნი საჩუქრების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

პ. ჭიოკაძე

თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი ხარატი ი. ხეჩუაშვილი მოწყობ გ. ობგაძეს ასწავლის სახარატო დაზგაზე მუშაობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ვასილი კამენსკი

(დაბადების 60 წლისთავის გამო)

18 აპრილს, ფართო ლიტერატურული საზოგადოებრივობა აღნიშნავს საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატის, ნიჭიერი რუსი პოეტის ვასილი კამენსკის დაბადების 60 წლისთავს.

თავის დიდ ლექსში „მაიაკოვსკის სიჭაბუქე“, ვ. კამენსკი მოხდენილად ლაპარაკობს იმ თვისებებზე, რომელნიც მას მაიაკოვსკისთან აახლოებენ:

„ბრძეფარე ჯანყში
ყველა ჩვენგანი
ვიყავით მძაფრი და გულფიცხელი“.

და ეს სავსებით სწორია.

ვასილი კამენსკი მგზნებარე პოეტია, ნოვატორი, ხალხის მხნეობისა და ძალის აღტაცებული მომღერალი.

უკვე პირველსავე დიდ პოემაში „სტეპან რაზინში“ სჩანს კამენსკის პოეზიის ძირითადი მოტივები, ბასი ბობოქარი სული, ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული და სამშობლოს მტერთა მიმართ შეწყვეტა სიძულვილი. პოეტი ღრმა სიყვარულის გრძნობით გვიხატავს გლეხობის შამაცი წინამძღოლის სტეპან რაზინის სახეს. მასში პოეტი ხედავს დიდი რუსი ხალხის საუკეთესო თვისებებს—თავისუფლების მგზნებარე წყურვილს, მეგობრობისა და ამხანაგობის წმიდა გრძნობას. მაგრამ თუ სტეპან რაზინის ვატკაცური გული მუდამ ღიაა ერთგული მეგობრებისა და თავდადებულ თანამებრძოლთათვის, სამაგიეროდ ეს გული ანთებულია დაუნდობელი, მკაცრი სიძულვილით ხალხის ვერაგი მტრების წინააღმდეგ.

„ტყავი გააძრეთ მტერსა,
სარზე გაჰკიდეთ იგი!
მტრის ხორცი ძაღლებს არგეთ
ძვლებს კი ორმოში ჩყრიდეთ!“.

ხალხის უძლეველობას შესახებ ლაპარაკობს ვასილი კამენსკი თავის მეორე დიდ პოემაშიც „ემელიან პუგაჩოვი“. ამ პოემის ძლიერ და მამაც გმირებში საბჭოთა მკითხველი ადვილად გამოიცნობს დღევანდელი გმირი პარტიზანების, სახელოვანი სახალხო შურისმგებლების მამა-პაპათ. კამენსკის ამხეზრებული გმირები იბრძვიან „სინიდისის დასაცავად, რომ მტერს ეცურნა სისხლში, შიგ ჩაეხრჩვალიყო სვავად“.

ისევე, როგორც დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედება, ვასილი კამენსკის მთელი პოეზიაც გამსჭვალულია მკვეთრი სოციალური იდეებით. ისევე, როგორც მაიაკოვსკი ვასილი კამენსკიც უკვე თავისი შემოქმედების პირველსავე „ფუტურისტულ“ წლებში შორს იყო სიტყვიერი ჯამბაზობით და „სიტყვადქმადობის“ ეკვილიბრისტიკით უიდეო გატაცებისაგან. გაცილებით უფრო ძლიერია და ორგანული მასში მისწრაფება სახალხო პოეზიისადმი, მისი სახეებისა და სტილისადმი.

მაიაკოვსკისთან ერთად კამენსკი საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე მის დამცველთა რიგებშია. ავტობიოგრაფიაში ვასილი კამენსკი სწერს: „პირველივე დღეებიდან აქტიურად დავადექი საბჭოების გზას, რადგან ამ პროლეტარულ რევოლუციაში ვხედავდი სოციალურ სიმართლეს, რაც ლენინმა გვაუწყა“. კამენსკი აქტიურად ჩაება სოციალისტური კულტურის მშენებლობაში. თავის შემოქმედებაში იგი ეხმაურება სოციალისტური მშენებლობის ყველა ამოცანებს. თემას. მის მთავარ ყურადღებას წინანდებურად იპყრობს სოფელი, ამ სოფლის მისწრაფება, მისი სიხარული. წიგნში „ზაფხული კამენკაში“ (1927 წ.) პოეტი გვიჩვენებს სოფლად შეჭრილ ახალ ყოფას. დიდ პოემაში „დათვის ორომში“ პოეტი ნათლად გვიჩვენებს ახალი სოფლის აღორძინების ბედნიერ გზას, მის გარდაქმნას „სტალინური გზით“.

თავისი პოეტური შემოქმედების მთავარ ამოცანას კამენსკი მშრომელთა სამსახურში ხედავს:

„და ეს ფრთოსანი სიმღერა
გამოვიგონე ამიტომ,
რომ მშრომელების ცხოვრება
უფრო ლამაზად ვადიდო“.

ვასილი კამენსკი ხშირად ეხება ცარიელ ხალხთა დიადი მეგობრობის შესახებ. ეგვ ამ-



ბობს, რომ „ურალი და კავკასიონი ერთი შეერთებული ქვეყნის ღვიძლი ძმები არიანო“. კამენსკი უმღერის ბაშკირიელების ინდუსტრიულ ძლიერებას, „26-ის დიდ ქალაქს“, ამაყობს მისი სიდიადითა და ზრდით:

„გადის წლები...
და ეს ქალაქი მალე
მზრებს მიაჯაჭვენს
ღრუბლებს...
მისი სახელი და დიდება
მარადისობას უძლებს“.

კამენსკის განსაკუთრებით ეყვარა თბილისი, რომელთანაც მას აკავშირებს მჭიდრო მრავალწლოვანი მეგობრობა, ჩასახული ჯერ კიდევ მისი პირველი პოეტური ნაბიჯების დღეებში. ამ თავის ღრმა გრძნობაზე ლაპარაკობს პოეტი ლექსში „უთბილისოდ ვერ ვძლებ“:

„უცნაურია სწორედ, —
ჩრდილოეთელი, რუსი,
ურალელი ვარ,
თუნდაც იერით.
მაგრამ ქვეყანა
ვიწროა თითქოს,
კავკასიის ნახვას
თუ კი ვერ შევძლებ,
თითქოს ვარ ქართველი —
მე უთბილისოდ
ვერ ვძლებ...“.

საგულისხმოა, რომ თავისი დაბადების 60 წლისთავს პოეტი თბილისში ხვდება, იმ ქალაქში, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა იცნო და დააფასა ახალგაზრდა კამენსკის პოეტური ნიჭი.

დღეს 60 წელი შეუსრულდა პოეტს, მაგრამ იგი კვლავ დაუცხრომელი ენერგიით გაგრძელებს მუშაობას. სამამულო ომის დღეებში ვ. კამენსკიმ შექმნა მთელი რიგი საბრძოლო ლექსები, პოემა — „სტალინი“, რომელშიც ხოტბას ასხამს დიდ ბელადს, გმირ წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს, დიდი რუსი ხალხის გმირული წარსულის თემაზე იშლება პოემა—„ერმაკ ტიმოფეევიჩი“, რომელზეც ამჟამად მუშაობს პოეტი.

ვ. კამენსკი მიუხედავად მის მიერ გადატანილი მრავალი განსაცდელისა, აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით. ეჭვი არ არის, რომ იგი მომავალშიც მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებს შეჰქმნის, რომლებიც ისევე შეევლენ საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში, როგორც მტკიცედ დამკვიდრდა მასში ყველა საუკეთესო, რაც პოეტს დღემდე დაუწერია.

დოც. არ. კოსტანოვი

ვასილი კამენსკის საღამო

18 აპრილს, საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში შესდგება პოეტ ვასილი კამენსკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოს პროგრამაშია: შესავალი სიტყვა—შ. დადიანი, მოხსენება ვასილი კამენსკის შემოქმედების შესახებ—ვ. გორგაძე, სიტყვები—ალ. აბაშელი, ს. ავჩიანი, ა. შარიფი, რ. ივნევი.

პოეტები და მსახიობები წაიკითხავენ ვასილ კამენსკის ლექსებს და ნაწყვეტებს პოემებიდან.

დასასრულ გაიმართება კონცერტი.

კულტურული საუნჯე

თბილისის კომუნალური მუზეუმი

ოცი წელი შესრულდა, რაც დაარსდა თბილისის კომუნალური მუზეუმი. ამ ხნის განმავლობაში მან ოცი ათასზე მეტი ექსპონატი მოაგროვა, ზოგი მხატვრული სახით, ზოგი მოდელებით, გეგმებით, ფოტოსურათებით. მუზეუმის მიერ შეკრებული ექსპონატები იმდენად საყურადღებო გამოდგა, რომ თავის დროზე მათ დიდი ინტერესი გამოიწვიეს პარიზისა და ლონდონის გამოფენებზე.

მუზეუმის მიღწევად უნდა ჩითვალოს აგრეთვე მის მიერ ჩატარებული არქეოგრაფიული მუშაობა. საქართველოს არქივებში შემონახული, ზოგჯერ საკმაებით უცნობი და გამოუქვეყნებელი დოკუმენტების გამომზეურებამ საშუალება მოგვცა მთლიანი წარმოდგენა მიგვეღო ქალაქის სამეურნეო, სოციალურ-უფლებრივი პოლიტიკური და ყოფაცხოვრებითი მხარეების შესახებ.

დაგროვებული მასალების საფუძველზე მუზეუმმა ორი დიდი გამოფენა მოაწყო: „სტალინ თბილისში“ და „ხუროთმოძღვრება თბილისში“.

მაგრამ მუზეუმს არ შემოუფარგლავს მუშაობა მარტოოდენ თბილისით. მან ფართოდ გამოიყენა თავისი ცოდნა, გამოცდილება და ახლა მუშაობა გადაიტანა საქართველოს სხვა ქალაქებშიც, რომლებიც სიძველითა და ორიგინალობით არიან ცნობილნი, როგორც, მაგალითად, უფლისციხე, ვარძია, გრემი, სამშვილდე, თელავი, ქუთაისი, გორი. ამ მხრივ ფასდაუდებელ მასალებია შეკრებილი იმის გამოსარკვევად, თუ რა ჰქონდა საერთო ჩვენს დედაქალაქს მათთან, ან რითი განსხვავდებოდა იგი.

მუზეუმი დიდი კულტურული საუნჯეა. აქედან დიდძალ მასალას იძენენ ჩვენი ხელოვანნი, განსაკუთრებით ეროვნული ფერწერის მუშაკები. მუზეუმს ჰყავს გამოცდილი, მაღალი ცოდნით აღჭურვილი, ოცი წლის მანძილზე უცვლელი დირექტორი ამხ. ნ. ი. ბადრიაშვილი, რომლის კონსულტაციით გაფორმდა ისეთი შესანიშნავი ფილმი, როგორიცაა „პუშკინის მოგზაურობა ერზერუმში“, „ლერმონტოვი კავკასიაში“, „არსენა“, „გიორგი საკაძე“, „ძველი და ახალი თბილისი“ და სხვა. რუსთაველის თეატრში შაწშიაშვილის პატრიოტული პიესა „კრწანისის გმირები“ იმავე მუზეუმის დოკუმენტების მიხედვით გაფორმდა.

თავის დროზე მუზეუმმა მთელი რიგი ექსპონატები და კოლექციები გადასცა საკუთარი ფონდიდან მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალს, აგრეთვე თეატრალურსა და ანტირელიგიურ მუზეუმებს.

სამამულო ომის დაწყებისთანავე მუზეუმმა მოაწყო გამოფენა: „თბილისი გარეშე მტრებთან ბრძოლაში“, რასაც დიდი ხალისით ნახულობენ მშრომელები, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მეომრები.

დ. კასრაძე

მარიამი

სოფელ კარალეთში დიდი ოჯახი ცხოვრობდა. ხეების მწვანე ფოთლევანში ჩაფლულ ფირუზაშვილის პატარა ნათელ სახლში ვიწროობა და ხმაური იყო. ძველად როგორადაც არ შრომობდა კულა თავის მიწის ნაკვეთზე, მრავალრიცხოვან ოჯახს მჭადიც ან არ ჰქონდა საყოფად.

მარიამი ანუგეშებდა ქმარს. მარიამს არა სცალოდა მოსაწყენად. ალაონზე დგებოდა იგი და იწყებდა ჴუშაობას. მიხედავდა უფროს ვაჟებს — ვასილს, დათიკოსა და გრიშას, შემდეგ გააღვიძებდა და ჩააცმევდა უმცროსებს. ექვსი ვაჟი ჰყავდათ, შაგქლიავის ფერ თვალებიანი, ნაკადულივით წკრიალა ხმებით, მთიდან მობერილი ქარის ხასიათისა.

წლებმა ისევე სწრაფად გაირბინეს, როგორც გაზაფხულზე მთიდან ფოვარდნილმა ჩანჩქერებმა. განვლილი წლები მარიამის გულში თითქმის ნაკვალევსაც არ სტოვებდნენ, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მისი შვილების მიერ ახლად აგებულ სახლში მტკიცედ შეიდგა და დამკვიდრდა ბედნიერება. მოხუცი კულა და ვერ მოესწრო კარალეთში კოლმეურნეობის შექმნას. მარიამი ისე შეეგება კოლმეურნეობას, როგორც დამრუნებულ ახალგაზრდობას, როგორც დამსახურებულ ჯილდოს დედის მიერ გადატანილი ჯაფისა და უძილო ღამეებისათვის.

ფირუზაშვილის სახლი სავსე იყო. ამჟამად სუფრას უსხდნენ ზორბა, ფართო მხარბეჭიანი ვაჟკაცები, და თითოეულ მათგანს ჰქონდა საკუთარი ჩვეება, ლაპარაკის. სიცილის თავისებური მანერა, ამა თუ იმ საქმეში ჩაბმის თავისებური უნარი. სახლი აიესო ზამაკაცებით.

მარიამს სიმხნეევ კვლავ ჰყოფნიდა იმისათვის, რათა უთენია ამდგარიყო და მთელი დღე ჯაფაში ეტარებინა, საღამოთი კი შვილებთან ერთად ეგზიარულნა.

ძმები მუშაობდნენ: ერთი—ბრიგადირად, მეორე—დურგლად, მესამე — შოფრად. მათ ხახავდით მინდორში და ვენახში, სამეედლოსა და პირუტყვის ბაკში. მხოლოდ ვახტანგმა დასტოვა სოფელი და გადასწყვიტა დამტკბარიყო თავისი ლამაზი, აყვავებული მიწა-წყლისათვის ჰაერიდან ცქერით. ვახტანგი სწერდა ძმებს საფრენსონ სკოლიდან: დედას გაუფრთხილდითო

თბილისის საქტრიკოტაჟის ფაბრიკის მოწინავე მქსოველი ნინა გოგოლაშვილი, საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრით ნაკისრ ვალდებულებას ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს.

სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსაგებისათვის

ვინ რა ვალდებულება იკისრა

ვანის რაიონი

სოციალისტურ შეჯიბრებაში ვანის რაიონის მშრომელებმა იკისრეს 1 მაისამდე დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა, მიიღონ ჰექტარზე სულ ცოტა 16 ცენტნერი სიმინდი, 50 ცენტნერი ყურძენი, გეგმის გადამეტებით დასთესონ თავდაცვის ფონდისათვის 180 ჰექტარი სიმინდი, 1 აგვისტოსათვის შეასრულონ ხორცის, ყველისა და სხვა პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები.

ვანის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მაიაკოვსკის რაიონი.

ბოლნისის რაიონი

ლაგოდეხელთა მოწოდებას ბოლნისის რაიონის მშრომელებმა ასეთი ვალდებულებებით უპასუხეს: 25 აპრილამდე დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა, ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 11,5 ცენტნერი ხორბალი, 12 ცენტნერი ქერი, 16 ცენტნერი სიმინდი, 9 ცენტნერი თამბაქო, ცალკეულ ნაკვეთებზე მოჭრიფონ 70 ცენტნერი ყურძენი, კოლოფ თესლზე მიიღონ 45 კილოგრამი პარკი, ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნამატი შეინარჩუნონ 80 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 95 პროცენტით, ცხენისა — 60 პროცენტით, თითოეული მეწველი ცხვარისაგან მიიღონ 6 კილოგრამი ყველი და 2,7 კილოგრამი მატყლი.

ბოლნისის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თეთრი წყაროს რაიონი.

ჩხოროწყუს რაიონი

რაიონის მშრომელები მახარაძელთა მოწოდების საპასუხოდ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ პირობა დასდეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 150 ტონა ჩაის ფოთოლი. სიმინდის თესვა დაამთავრონ 25 აპრილამდე აგროწესების ზუსტად დაცვით და თითოეულ ჰექტარზე მიიღონ 11 ცენტნერი მოსავალი; თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად გეგმის გადამეტებით სიმინდი დასთესონ 60 ჰექტარზე, მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ ვადაზე ადრე, მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, თითოეული კოლოფი აბრეშუმის თესლდან მიიღონ 40 კილოგრამი პარკი. გარდა ამისა, ჩხოროწყუს რაიონმა იკისრა ჰიტლერელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებს გაუგზავნოს 100 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

ადიგენის რაიონი

ლაგოდეხელთა პატრიოტული მოწოდების პასუხად კოლმეურნეობებში მოხნულია ბევრად მეტი ფართობი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის იყო. საგაზაფხულო კულტურები დათესილია 1.104 ჰექტარზე, მინდვრად გატანილია 134.491 ტონა სასუქი.

წელს აითვისებენ 118 ჰექტარზე მეტ ახალ მიწებს. კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ ვადაზე 10 დღით ადრე დაამთავრებენ საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვას, თითოეულ ჰექტარზე შემოდგომის ხორბალს მიიღებენ სულ ცოტა 11 ცენტნერს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა, ქერს — 12 ცენტნერს, საგაზაფხულო ხორბალს — 9 ცენტნერს, სიმინდს — 15 ცენტნერს, კარტოფილს — 110 ცენტნერს.

ვალდებულებათა შესრულებისათვის კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

შაქრის ჭარხლის თესვა კოლმეურნეობებში

საქართველოს მეჭარხლეობის რაიონებში გაჩაღებულია თესვა. კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხალი უკვე დასთესეს თითქმის ორჯერ მეტ ფართობზე, ვიდრე შარშან 10 აპრილს იყო დათესილი. თესვის გეგმების შესრულებაში შედარებით წინ არიან ბორჩალოსა და გორის რაიონები. ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებში დაგალება 10 აპრილს შესრულდა 78,9 პროცენტით, გორის რაიონში კი 61,9 პროცენტით.

ჩამორჩნენ კასპისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონები. კასპის რაიონის კოლმეურნეობებში გეგმა შესრულებულია მხოლოდ 31,6 პროცენტით, სამხრეთ-ოსეთში კი 38,8 პროცენტით.

შაქრის ჭარხლის თესვის დამთავრების ვადა 20 აპრილია. მიუხედავად ამისა, კასპის რაიონის კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული 1.150 ჰექტარიდან დათესილია 700 ჰექტარზე მეტი, ხოლო სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებში—400 ჰექტარიდან 200 ჰექტარზე მეტი.

საგაზაფხულო თესვა კოლმეურნეობებში

საქმიწყალხკომის 10 აპრილის ცნობებით

რაიონები	დათესილია სულ საგაზაფხულო კულტურები პროცენტობით	რაიონები	დათესილია სულ საგაზაფხულო კულტურები პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	0,6	ქარელი	28,5
აჭარის ასსრ	3,8	გორი	23,6
სამხრეთ-ოსეთის ა. ო	30,0	კასპი	35,8
ლაგოდეხი	4,0	ბორჯომი	10,4
ხობი	2,1	წალკა	57,2
მახარაძე	0,5	დუშეთი	37,2
ჩოხატაური	3,5	თეთრი წყარო	36,0
ქუთაისი	48,2	თიანეთი	21,4
წყალტუბო	31,7	გურჯაანი	63,9
სამტრედია	3,5	სიღნაღი	76,7
წულუკიძე	0,5	წითელწყარო	93,3
ვანი	13,1	თელავი	35,7
მაიაკოვსკი	12,5	ყვარელი	63,8
ზესტაფონი	22,7	ლაგოდეხი	45,9
ჩხარი	0,2	თბილისი	64,3
ჭიათურა	33,3	მცხეთა	38,7
საჩხერე	21,3	ყარაია	47,1
ორჯონიკიძე	40,2	ბორჩალო	22,6
ამბროლაური	12,8	ბოლნისი	35,1
ახალქალაქი	0,3	საგარეჯო	57,6
ბოგდანოვკა	6,4	ბაზარეთი	18,9
ახალციხე	42,4		
ადიგენი	15,0		
ასპინძა	33,6		
ხაშური	25,0		

ზახარაძის რაიონის ცნობები 1 აპრილისაა, წყალტუბოს, ახალქალაქისა და ადიგენის კი — 5 აპრილისა.

ᲓᲔᲙᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ვაშინგტონი, 13 აპრილი (საკადესი). უპასუხა რა შეკითხვას ლონდონიდან მიღებული ცნობის გამო იმის შესახებ, რომ შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ესპანეთსა და თურქეთს მკაცრი პროტესტი განუცხადეს საომარი მასალებით ვაჭრობის წინააღმდეგ, ჰელმა უარი სთქვა დეტალურად შეჩერებულიყო ამ საკითხზე, მაგრამ აღნიშნა, რომ მოლაპარაკება სწარმოებს აგრეთვე შვეიცარიასთან.

შეკითხვას იმის შესახებ, მიაპყრობენ თუ არა ჰელის უკანასკნელი სიტყვის დედაარსის მიხედვით ნეიტრალური ქვეყნების ყურადღებას ამ მოლაპარაკების დროს, იმაზე თუ როგორი იქნება მათი მდგომარეობა ომის შემდეგ, თუ ისინი განაგრძობენ საქმის დაჭერას ღერძის სახელმწიფოებთან, ჰელმა სთქვა, რომ მას არ შეუძლია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან ჯერ მან უნდა მოითათბიროს სხვა გაერთიანებულ ერებთან.

შეკითხვაზე იმის შესახებ, მიიღო თუ არა მან იტალიის საკითხების საკონსულტაციო საბჭოსაგან მეფე ვიქტორ-ემანუილის დაბირების ცნობა—უმბერტო დანიშნოს რეგენტად, როცა მოკავშირენი რომს აიღებენ, ჰელმა განაცხადა, რომ მას არავითარი ოფიციალური ინფორმაცია არ მიუღია საბჭოსაგან. თხოვნაზე მიეთითებინა—რამდენადმე არის თუ არა დაკავშირებული მეფე ვიქტორ-ემანუილის გადაწყვეტილება ამ ინსტრუქციებთან, რაც მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს იტალიაში მერფის მანამ, სანამ მერფი ამას წინათ ვაშინგტონიდან იტალიაში დაბრუნდებოდა, ჰელმა უპასუხა, რომ ამჟამად მას მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რაც გათვალისწინებული იყო იტალიის მიმართ მოსკოვის დეკლარაციაში, აგრეთვე ჰელის 9 აპრილის სიტყვაში, რომელშიც მოცემულია ძირითადი გაერთიანებული ერების, მათ შორის შეერთებული შტატების თვალსაზრისი.

თხოვნაზე—კომენტარი გაეკეთებინა ესპანეთის ფალანგის პროპაგანდისტული წინადადებისათვის იმის შესახებ, რომ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ჰიტლერს შეერთებოდნენ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჰელმა განაცხადა, რომ ყოველ ადამიანს, ვინც არათუ წამოაყენებს ამგვარ წინადადებას, არამედ თუნდაც მოაწვდენს ჩვენამდე ასეთ აზრს, შეგნებული უნდა ჰქონდეს იმის სიმდაბლე, რასაც იგი სჩადის. შეკითხვაზე იმის შესახებ—აქვს თუ არა მას რაიმე დადასტურება გაზეთების ცნობის სანმდგილისა ამ კამპანიის თაობაზე, ჰელმა უარყოფითად უპასუხა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 12 აპრილი (საკადესი). როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის საგენტოს ანკარელი კორესპონდენტი იუწყება, ეშყარება რა ჩვეულებრივ კარგად ინფორმირებული წრეების ცნობებს, ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს ერთობლივი ნოტა გაუგზავნეს და მოითხოვენ გერმანიისათვის იმ მასალების მიწოდების შეწყვეტას, რაც აუცილებელია გერმანიის სამხედრო მანქანისათვის.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲨᲘ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ

სტამბოლი, 14 აპრილი (საკადესი). ჰიტლერელების მიერ დანიშნული უნგრეთის ახალი „მთავრობა" მხეცურ ძალადობას სჩადის მთელს უნგრეთში და აწიოკებს იმ პირთ, რომელთაც ანტიგერმანულ განწყობილებებს შესწამებენ. სულ მცირე საბაბიც საკმარისია ამისათვის, რომ ადამიანი დახვრიტონ ან სახარჩობელაზე გაგზავნონ. აქ მიღებული ცნობებით, ელექტრომონტიორი ანდრეას ცერმანი მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს, რომ სამი წლის წინათ იგი ერთ „საეჭვო" პირთან ერთად ნახეს. განსაკუთრებით მრავალი პირი დაუპატიმრეს ბუდაპეშტის გარეუბნებში, სადაც გესტაპოს განცხადებით, ბევრი „სახელმწიფოებრივი დამნაშავე" იმალება.

უნგრეთის დედაქალაქის ყველ ქუჩაში დაყენებულია არიან უნგრეთის ქვეითი და ცხენოსანი პოლიციისა და „სს"-ელთა პატრულები. მათ მინიჭებული აქვთ უფლება დააკავონ ყველა, ვინც კი რაიმე ეჭვს გამოიწვევს და გაქცევის ცდისას სროლა აუტეხონ. კერძო პირთ აკრძალული აქვთ ტელეფონით სარგებლობა. უნგრეთის ხელისუფლებმა დაადასტურეს, რომ ამ უკანასკნელმა ამბებმა უნგრეთში ხელი შეუწყეს არმიაში დეზერტირობის ზრდას; ამიტომ სამხედრო მინისტრის ბრძანებით გამოცხადებულ იქნა მამრობითი სქესის 17-დან 60 წლამდე ასაკის მთელი მოსახლეობის სამხედრო დოკუმენტების ხელახალი რეგისტრაცია.

უნგრელი ბნელეთისმოციქულები საჯაროდ სწვავენ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. უნგრეთში დღემდე დახურულია თეატრები, კინოები, სამკითხველოები და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ

სტამბოლი, 15 აპრილი (საკადესი). რუმინეთიდან მოსული ცნობები მოწმობენ ზრდად პანიკას ჰიტლერული გერმანიის რუმინელ ლაქიათა შორის, ანტიჰიტლერული განწყობილების გაძლიერებას მოსახლეობაში და ანტონესკუს ხროვის პოლიტიკით გამოწვეულ აღშფოთებას.

30 მარტს ბუქარესტში მოხდა აშბავი, რომელმაც მმართველთა წრეებში ნამდვილი ალაქოთი გამოიწვია. დილით ასობით სახლის კედლებზე და იმ ძეგლზედაც კი, რომელიც ბუქარესტის ერთ-ერთ მოედანზეა აღმართული ჰიტლერელებისა და რუმინელების მიერ 1941 წელს ბესარაბიის ხელში ჩაგდების შემდეგ, უცხობი პირების მიერ მსხვილი ასოებით გაკეთებული იყო შემდეგი წარწერა: „ძირს გამცემი ანტონესკუ, რომელმაც რუმინეთი გერმანელებს მიჰყიდა". ხელისუფლებმა უკეთესი ვერაფერი მოიგონეს და სასაერო განგაში გამოაცხადეს. სანამ მოსახლეობა თავშესაფრებში იმყოფებოდა, პოლიციელები ფლიდნენ კედლებზე „მეამბოხენ" წარწერებს. განგაში შეწყვეტილ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პოლიციამ თავისი სამუშაო დაამთავრა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ბუქარესტში ასობით პირი დააპატიმრეს.

ხელისუფლებმა იციან, რომ ვერავითარი რეპრესიებით ვერ მოახერხებენ რუმინეთში ზრდადი ოპოზიციის ჩახშობას და მთელ თავის მეცადინეობას იქითკენ მიმართავენ, რომ მოსახლეობა ჩააჩუმონ მაინც და აიძულონ აშკარად არ იმსჯელოს პოლიტიკურ საკითხებზე. ბუქარესტელი კორესპონდენტი ჰიტლერულ გაზეთ „ტურკიშე პოსტისა", რომელიც თურქეთში გამოდის, ასწერს რუმინეთის მდგომარეობას და აღიარებს, რომ რუმინეთის ხელისუფალთა ყოველი ღონისძიება, მიმართული იმისაკენ, რომ შესწყვეტოს სხვადასხვანაირი ხმების გავრცელება, ამაო აღმოჩრდა. „რუმინელ ხალხს,—სწერს კორესპონდენტი,—აკლია ერთი თვისება—დუმილის უნარი. ბუქარესტში ყველგან—რესტორანებში, კაფეებში, ტრამვაისა და ავტობუსებში, სახლების კარებზე გაკრულია ბრძანებანი, რომლებიც უკრძალავენ დისკუსიების გამართვას შინაური და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ყოველი ასეთი ბრძანება შეიცავს მუქარას—დამნაშავენი პოლიციას გადაეცემიანო. მიუხედავად ამისა, ლაპარაკი მაინც არ სწყდება".

კორესპონდენტი სწერს, რომ ყოველი სეანსის წინ კინოთეატრებში ეკრანზე ჩნდება ლეჭსად დაწერილი ლოზუნგი, რომელიც მოუწოდებს მოსახლეობას დაიცვას სიჩუმე. კორესპონდენტს მოჰყავს ეს „ლექსი", რომლის თარგმანიც, დაახლოებით, ასეთია: „არ გაზუმდები და ხუთ წელს საპატიმროში იჯდები".

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ

ახალგამმა გამოსცა ქართველი მწერლების ალბომი, შედგენილი ბ. გორდეზიანის მიერ. ალბომში მოთავსებულია ქართველ მწერლების პორტრეტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ალბომი იხსნება მოთა რუსთაველის პორტრეტით. დანარჩენი მწერლების პორტრეტებს დართული აქვს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ალბომი არ არის სრული. ავტორი წინასიტყვაობაში სწერს, რომ ალბომში მოთავსებული თითქმის ყველა კლასიკოსის პორტრეტი, გარდა ლ. არდაზიანისა, რომლის პორტრეტი ჯერაც არ არის ადმოჩენილი. ნამდვილად გარდა არდაზიანისა, ალბომში გამოტოვებულია ბევრი სხვა მწერალიც. რატომ არ უნდა იყოს ალბომში, მაგალითად, ვ. ორბელიანი, ანდა ჭ. ლომთათიძე?

ალბომი ჯიბის ფორმატისაა, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ყდით ღირს 10 მანეთი.

ბ. ნ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

გაზ „ლიტერატურა და ხელოვნების" რედაქციამ უბის წიგნად გამოსცა დ. თურდოსპირელისა და ე. გაბრიჩიძის წიგნიდან ამოკრეფილი ანდაზები. ანდაზები დაწყობილია ანბანზე. წიგნის რედაქტორია გ. ქიქოძე. წიგნი შეიცავს 32 გვერდს და ღირს 5 მან.

გამოვიდა ივ. ყიფშიძის წიგნი „მინერალები ომის საშასხურში". წიგნი გამოსცა საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებამ. წიგნი, რომლის რედაქტორია ილ. ყიფშიძე, შეიცავს 63 გვერდს და ღირს 10 მანეთი.

ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝ�გᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ ს. ს. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

12 აპრილს ქუთაისში გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი სიმონ სპირიდონის-ძე ლორთქიფანიძე. მას კარგად იცნობდა მშრომელი მოსახლეობა, როგორც უნგარო ექიმს, შესანიშნავ სპეციალისტს და საზოგადო მოღვაწეს.

განსვენებულმა თავისი დაუღალავი შრომით და დიდი საექიმო ცოდნით დაიმსახურა ფართო ეშრომელი მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა. საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად შეაფასა მისი მოღვაწეობა, მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება და დაჯილდოებულ იქნა საკავშირო ჯანსახკომის მიერ ჯანშრომელთა დაცვის წარჩინებული მუშაკის ნიშნით.

ექიმ სიმონ ლორთქიფანიძის სახით ჩვენ დაკარგეთ კარგი სპეციალისტი და დაუღალავი მუშაკი. მისი ხსოვნა დაუფიწყარი იქნება ამხანაგებისათვის.

ა. ხელიძე, ნ. ბარკალაია, ი. ფრანგულიანი, ა. მინდაძე, პროფ. კ. ერისთავი, პროფ. პ. შუშანია, პროფ. ვ. თოხაძე, ექიმები: გ. ლორთქიფანიძე, ვ. ლორთქიფანიძე, ხ. მაჭავარიანი, ე. ბეთანელი.



მარცვლეულის თესვა. ქარელის კოლმეურნეობა. ტრაქტორისტი ხ. ხულაშვილი, მთესავი მ. მთიულიშვილი ნორმებს წარმატებით ასრულებენ. ფოტო რ. აკოფოვისა.

ᲣᲦᲔᲚᲬᲔᲓᲘᲚᲘ

გამოვიდა რუსი პოეტის ვლ. ორლოვის ლექსების კრებული „უღელტეხილი". წიგნის პირველ ნაწილში მოთავსებულია პოეტის 10 ლექსი, დაწერილი ომის წინა წლებსა და სამამულო ომის დღეებში. მეორე ნაწილში — ლექსები საქართველოზე — მოთავსებულია 7 ლექსი, რომლებშიც პოეტი საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას ასახავს.

მესამე ნაწილში მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, ა. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის და ს. ჩიქოვანის ლექსების თარგმანი.

კრებული, რომლის რედაქტორია ბ. კორნეევი, გამოსცა „ზარია ვოსტოკას" გაჯვეკმლობამ, წიგნი შეიცავს 78 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

„ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲙᲐᲡ ᲒᲐᲣᲠᲑᲘᲡ"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 1944 წლის 26 მარტის ნომერში დაბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაისაბჭოს ორგანო გაზეთი „კოლექტიური შეტევა" სუსტად აშუქებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, არ უჩვენებს მოწინავეთა გამოცდილებას, არ აკრიტიკებს ცუდად მომუშავეებს, ამავე დროს რედაქცია სუსტად მუშაობს გაზეთში დასაბეჭდი მასალების დამუშავებაზე.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ამხ. პ. ნანიტაშვილი გვატყობინებს, რაიკომის ბიუროომ განიხილა ეს საკითხი, გაზეთის რედაქტორი ამხ. ს. ჩხეტია გაათავისუფლა რედაქტორის მოვალეობისაგან და დასახა ღონისძიებანი გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲔᲡᲘᲔᲑᲘ

17 აპრილს სალამოს 7 საათზე თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში (ლ. პ. ბერიას მოედანი № 2) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის ბერიას სახელობის რაისაბჭოს XV სესია.

17 აპრილს სალამოს 7 საათზე ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს XVI სესია.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

16 აპრილს—სახელმწიფო ოპერა—დილით „აღი", საღამოს „აბესალომ და ეთერი"; **რუსთაველის**—დილით და საღამოს „უდანაშაულო დამნაშავენი"; **მარჯანიშვილის**—დილით „პარტიზანები", **საღამოს** „ხანუმა".

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

16 აპრილს, რუსთაველის სახელობის — „დომბრის ხმაზე"; **ოქტომბერი**—„ცისარტყელა"; **დამკვრელი**—„ორი მებრძოლი".

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ

17 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურული ზრდის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში (რუსთაველის ქ. 33/35) აწყობს ამხ. **დ. ენუქიძის** ლექციას ქართულ ენაზე. თემა: **„გერმანიის ფაშიზმის კოლონიური პოლიტიკა".** ბილეთების მიღება შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში (ლენინის ქ. № 41) დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე და ინსტიტუტის ფილიალში 17 აპრილს საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

17 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. 11) შესდგება ამხ. ქვილითაიას ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ჰიტლერული გერმანია შეუკავებლად მიდის კატასტროფისაკენ".**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲡᲐᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

აცხადებს, რომ ა. წ. 20 აპრილიდან 20 ივნისამდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო ავტომობილსპექციის მიერ ტარდება ავტო-მოტო-ტრანსპორტების, რეზინიანი სვლის ტრაქტორების და მისაბმელების ნახევარწლიური შემოწმება.

ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები და ავტომანქანების მფლობელნი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ ავტოტრანსპორტის მომზადებას ტექნიკური შემოწმებისათვის.

ტექნიკურ შემოწმებაზე წარდგენილი ავტოტრანსპორტი უნდა იყოს ტექნიკურად წესრიგში მოყვანილი, შეღებილი, სატვირთო ავტომანქანის ძარის სამივე მხარეს აღნიშნული უნდა იყოს მიკუთვნებული სახელმწიფო სანომერო ნიშანი სტანდარტული ზომისა (სიმაღლე 30 სანტიმეტრი, სიგრძე — 15 სანტიმეტრი, სისქე — 3 სანტიმეტრი).

ავტომანქანებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს უკანა ფანარი ნომრის გასანათებლად.

ავტო-მოტო-ტრანსპორტის შემოწმებაზე წარდგენისას აუცილებელია თან იქონიონ: 1) ტექნიკური პასპორტი, 2) სახბანკის საქალაქო განყოფილების ქვითარი თითოეულ მანქანაზე და რეზინიანი სვლის ტრაქტორებზე 5 მანეთის, მოტოციკლებსა და მისაბმელებზე — 3 მანეთის გადახდის შესახებ (ფული შეიტანება სახბიუჯეტის ანგარიშში — კარი 12, § 7), 3) ცნობები ავტოტრანსპორტის საუწყებო კუთვნილებისა და მანქანების გარზენის კილომეტრაჟის შესახებ.

ავტოტრანსპორტის აღნიშნულ ვადაში წარმოდგენის შეუძლებლობის ყველა შემთხვევის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს სახელმწიფო ავტოინსპექციას 20 მაისამდე.

ქ. თბილისში ერთობლივ და ინდივიდუალურ მფლობელთა ავტოტრანსპორტის შემოწმება იწარმოებს პუნქტზე: ბებელის მოედანი, № 1, ყოველდღე 10-დან 16 საათამდე. ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები, ერთობლივი და ინდივიდუალური მფლობელნი, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ ავტოტრანსპორტს ტექნიკურ შემოწმებაზე ან არ შეასრულებენ ზემოთაღნიშნულ მოთხოვნილებას, დაჯარიმებული იქნებიან 300 მანეთით.

საქართველოს სსრ შინსახკომის მოადგილე
მილიციის მე-3 რანგის კომისარი ნაბუღებია

დედა მარიამ, ძმა უშანგი, დები ელენე, თამარი, ლოლა, სიძეები იუწყებიან, რომ 23/IV სოფ. ვარცხნალში (ხარაგოული) დანიშნულია **ანდრო მამანტის-ძე ბუაჩიძის** პანაშვიდი. 468

ძმობლები ანდრო, ნინო თოხაძეები, მამიდა ტერეზა იუწყებიან **დარეჯანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17/IV, 7 ს. გამოსვენება 18/IV, 6½ ს. პისარევის, 25.

ძმობლები ანიკო, გიორგი, ძმები კიმა, ანდრუშა, მამიდები, ბიძები ცოლ-შვილით იუწყებიან **ლილა მანჯგალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/IV, 7 ს. გამოსვენება 18/IV, 5 ს. ბელინსკის, 5. 487

საქართველოს კინოფიკაციის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ალიოშა ბოჭორიშვილის დედის **ედუსი დავითის-ასულ ბოჭორიშვილის** გარდაცვალებას.

დები სოფიო, ეკატერინე, ელენე ოჯახებით იუწყებიან, რომ 16/IV, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **საშა (ალექსანდრა) ადამის-ასულ კაციაშვილის** პანაშვიდი.

დედა ნინო, ძმები: გიორგი, საშა, ვახტანგი, დები ნატაშა, ანიკო, ს. ხოსროეები ოჯახით იუწყებიან **მარო ივანეს-ასულ მენთეშაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 19/IV. 6 ს. ყორესის ქ. № 28.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ" ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ

ჩვენ გვიჩვენეს ფურცელი, რომლითაც გერმანიისა და რუმინეთის სარდლობამ ჩრდილოეთ რუმინეთის მოსახლეობას მიმართა. ფურცელს სათაურად ჰქონდა „სერეტისათვის!" ფურცელში კვლავ განმეორებული იყო სულელური ზღაპარი იმის შესახებ, რომ „მაღალი სტრატეგიული მოსაზრებით" გერმანელ-რუმინელთა ჯარები პრუტის ხაზიდან ადმოდიან და სამხრეთისაკენ, მდინარე სერეტს გამოღმა იხვევენ, „რომლის აქეთაც სარდლობამ უკანასკნელ დღეებში შეჰქმნა თავდაცვის მტკიცე, უაღრესად მძლავრი ხაზი, სრულიად საიმედო, რათა მოიგებრიოს რუსების ყოველი თავდასხმა და თავიდან აგვაშოროს მათი შემოჭრა უფრო ღრმად, რუმინეთის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ". ფურცელი ურჩევდა რუმინელებს — წამოდით პრუტისპირა რაიონებიდან, ვიატოვეთ და მოსპეთ საბლები, წამოიყვანეთ პირუტყვი და წამოიღეთ ქონება მდინარე სერეტს გამოღმა, თითქოს იგი გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდა.

მართლაც, უკანასკნელ დროს სერეტის მარჯვენა ნაპირზე გერმანია-რუმინეთის სარდლობამ სწრაფი ტემპებით იწყო თავდაცვის ხაზის აგება, თხრილების, სანგრების, ბლინდაჟების ამენება შესაძლო გადასასვლელთა ყველა უბნის ძელმიწური საცეცხლე წერტილით გამაგრება, მდინარის მისადგომების დანაღმვა და სხვ. მოსახლეობამ იცოდა ყოველივე ეს, ვინაიდან ათიათასობით კაცი და ქალი სასწრაფოდ იყო მობილიზებული სერეტზე სამუშაოდ. და მაინც გერმანია-რუმინეთის სარდლობის ფურცელმა ბევრი ვერავინ მოატყუა. ძირითადი მოსახლეობა სერეტს გაღმა არ წასულა. და ისინიც ვინც წავიდა, ახლა შუაგზიდან ბრუნდებიან თავიანთ დაბებსა და სოფლებში.

ეს ფურცელი სწორედ იმ მომენტში გამოსცეს, როდესაც უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა ფართო უბანზე შეუჩერებლივ გადაბიჯეს სერეტს და რუმინეთის ნაპირზე შეჰქმნეს პლაცდარმები, რომლებიც დღეღამის განმავლობაში მრმხდარი დიდი, დაძაბული ბრძოლების შემდეგ ფრონტის მთლიან ხაზად იქცნენ მდინარეს გაღმა რამდენიმე ათეულ კილომეტრ სიგრძეზე.

მდინარე სერეტის გადალახვა ბევრი მხრივ შეიძლება ჩაითვალოს სწრაფი, მძლავრი და უეცარი დარტყმის, აგრეთვე სამხედრო მომზადების ნიმუშ